ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
რეზოლუცია სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის
დაწყების შესახებ

N 04/20047

09 დეკემბერი 2016 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

დასაბუთება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ინიციატორი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

აქტორი

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

წამყვანი კომისია

09.12.2015		
შემოსვლის თარიღი	*საკომისიო მოსმენის საკარაუდო თარიღი*	*სხდომაზე გასვლის საკარაუდო თარიღი*

საკრებულოს კომისიები და ფრაქციები

კომისიები რომელთა დასკვნაც საჭიროებულია

**ქ.თბილისის საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს
სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა**

გიორგი ტყემალაძე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ბ-ნ მ. მჭედლიშვილს
ბ-ნ გ. ახვლედიანს
ბ-ნ თ. კობახიძეს
ბ-ნ ჯ. სამუშიას
ბ-ნ ნ. მალაღურაძეს
ბ-ნ გ. ბაბუნაშვილს
ქ-ნ გ. ზუმბაძეს
ქ-ნ თ. ტალიაშვილს
ქ-ნ შ. ბუხრაშვილს
ქ-ნ ლ. ჯახველაძეს
ქ-ნ ქ. ჯოხაძეს
ქ-ნ რ. ბერაძეს
ბ-ნ ა. დავითაძეს
ბ-ნ გ. მუსხელიშვილს
ბ-ნ ი. ფაცლენიშვილს
ბ-ნ ლ. დარახველიძეს
ბ-ნ თ. შურღაიას
ქ-ნ ნ. გოგუაძეს
ბ-ნ ვ. ძნელაძეს
ქ-ნ ხ. სამნიძეს
ბ-ნ ზ. ვეკუას
ქ-ნ ს. უგრეხელიძეს
ბ-ნ ი. აბესაძეს
ქ-ნ ე. დუმბაძეს

სხდომაზე განსახილველად.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ტყემალაძე

N04/20047

09.12.2016

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

KA980190697918416

ქ. თბილისი 0160, ყ. შარტავას ქუჩა N7. ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

№9/321205

09 / დეკემბერი / 2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 508 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა აბაშიძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 04/20047
"09" დეკემბერი 2016 წ.
შემოსული რაოდენობა 509 ფურცელი
0105, ალექსიძის ქუჩა № 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

„ “ დეკემბერი 2016 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის „დ" პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი

თავი I

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათას ლარებში

№	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
1	**შემოსულობები**	**907 425,4**	**808 226,0**	**801 302,0**
	შემოსავლები	853 747,5	739 626,0	734 902,0
	არაფინანსური აქტივების კლება	35 004,7	67 000,0	65 000,0
	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	673,2	1 600,0	1 400,0
	ვალდებულებების ზრდა	18 000,0	-	-
2	**გადასახდელები**	**935 780,7**	**847 926,0**	**801 302,0**
	ხარჯები	632 766,0	635 981,6	563 591,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	216 380,4	124 248,0	128 014,8
	ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	67 898,3	78 638,8	103 283,4

	ვალდებულებების კლება	18 735,9	9 057,6	6 412,5
3	**ნაშთის ცვლილება**	**- 28 355,3**	**- 39 700,0**	**0,0**

მუხლი 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

№	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
I	**შემოსავლები**	**853 747,5**	**739 626,0**	**734 902,0**
1.1	**გადასახადები**	**158 174,2**	**350 000,0**	**260 000,0**
1.3	**გრანტები**	**522 367,7**	**247 298,0**	**332 638,1**
1.4	**სხვა შემოსავლები**	**173 205,6**	**142 328,0**	**142 263,9**
II	**ხარჯები**	**632 766,0**	**635 981,6**	**563 591,3**
2.1	შრომის ანაზღაურება	42 343,5	96 900,3	87 670,2
2.2	საქონელი და მომსახურება	114 269,6	135 616,8	126 964,4
2.4	პროცენტი	286,9	1 893,1	1 823,4
2.5	სუბსიდიები	159 302,2	85 637,9	83 956,7
2.6	გრანტები	23 983,2	931,5	29,5
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	180 764,0	177 013,3	146 574,3
2.8	სხვა ხარჯები	111 816,6	137 988,6	116 572,8
III	**საოპერაციო სალდო**	**220 981,5**	**103 644,4**	**171 310,7**
IV	**არაფინანსური აქტივების ცვლილება**	**181 375,7**	**57 248,0**	**63 014,8**
	ზრდა	216 380,4	124 248,0	128 014,8
	კლება	35 004,7	67 000,0	65 000,0
V	**მთლიანი სალდო**	**39 605,8**	**46 396,4**	**108 295,9**
VI	**ფინანსური აქტივების ცვლილება**	**38 869,9**	**37 338,8**	**101 883,4**
	ზრდა	**67 898,3**	**78 638,8**	**103 283,4**
	კლება	**29 028,5**	**41 300,0**	**1 400,0**
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	28 930,9	40 800,0	1 100,0
32.1.4	სესხები	97,5	500,0	300,0

32.1.5	აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-
32.1.8	სხვა დებიტორული დავალიანებები	-	-	-
VII	**ვალდებულებების ცვლილება**	**- 735,9**	**- 9 057,6**	**- 6 412,5**
	ზრდა	**18 000,0**	**-**	**-**
33.1	საშინაო	18 000,0	-	-
	კლება	**18 735,9**	**9 057,6**	**6 412,5**
33.1	საშინაო	18 735,9	9 057,6	6 412,5
33.2	საგარეო	-	-	-
VIII	**ბალანსი**	**0,0**	**0,0**	**0,0**

თავი II

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 734,902.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
1	**შემოსავლები**	**853 747,5**	**739 626,0**	**734 902,0**
11	**გადასახადები**	**158 174,2**	**350 000,0**	**260 000,0**
13	**გრანტები**	**522 367,7**	**247 298,0**	**332 638,1**
14	**სხვა შემოსავლები**	**173 205,6**	**142 328,0**	**142 263,9**

მუხლი 4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 260,000.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი

11	გადასახადები	158 174,2	350 000,0	260 000,0
11111	საშემოსავლო გადასახადი	-	190 000,0	100 000,0
11311	ქონების გადასახადი მათ შორის:	157 838,7	160 000,0	160 000,0
113111 113112	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	124 269,4	126 400,0	126 400,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	14 452,4	16 600,0	16 600,0
113114 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	18 948,0	17 000,0	17 000,0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	168,8	-	-
116	სხვა გადასახადები	335,5	-	-

მუხლი 5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 332,638.1 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
13	გრანტები	522 367,7	247 298,0	332 638,1
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-	-	-
132	უცხო სახელმწიფო მთავრობებიდან მიღებული გრანტები	495,7	-	-
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	521 872,1	247 298,0	332 638,1
133111	მიმდინარე	440 201,6	242 732,2	332 638,1
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	412 282,2	242 182,2	332 182,2
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	400,0	400,0	455,9

1331113	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები (სპეციალური ტრანსფერი)	27 319,4	150,0	-
1331113	საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხები (სპეციალური ტრანსფერი)	200,0	-	-
133112	კაპიტალური	**78 742,8**	**4 565,8**	-
1331121	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები (სპეციალური ტრანსფერი)	28 739,5	4 565,8	-
1331121	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები (სპეციალური ტრანსფერი)	4 383,5	-	-
1331122	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები (კაპიტალური ტრანსფერი)	45 619,7	-	-
13331	გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან	**41,0**	-	-
13332	გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	**2 886,7**	-	-

მუხლი 6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 142,263.9 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
14	სხვა შემოსავლები	**173 205,6**	**142 328,0**	**142 263,9**
141	შემოსავლები საკუთრებიდან	**10 424,9**	**14 160,0**	**14 294,8**
1411	პროცენტები	**6 107,9**	**4 000,0**	**2 000,0**
1412	დივიდენდები	**66,5**	**160,0**	**150,0**
1415	რენტა	**4 250,5**	**10 000,0**	**12 144,8**
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1 213,5	1 000,0	1 474,8

14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3 037,0	9 000,0	10 670,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**89 138,1**	**93 745,0**	**93 488,7**
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**87 570,7**	**91 945,0**	**92 488,7**
14223	ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლები, მათ შორის	**1 703,1**	**2 150,0**	**1 713,7**
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	1 001,6	1 500,0	1 213,7
1422399	სხვა არაკლასიფიცირებული სანებართვო მოსაკრებელი	701,5	650,0	500,0
14227	სახელმწიფო ბაჟი	-	-	-
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	**4,2**	**5,0**	**5,0**
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	**57,4**	**90,0**	**70,0**
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	**38 734,0**	**40 000,0**	**40 000,0**
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	**39 638,3**	**43 000,0**	**44 000,0**
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	**7 157,0**	**6 500,0**	**6 500,0**
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	**276,7**	**200,0**	**200,0**
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**1 567,5**	**1 800,0**	**1 000,0**
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	**1 567,5**	**1 800,0**	**1 000,0**
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**25 652,5**	**26 300,0**	**26 500,0**
144	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	**32 849,6**	**92,5**	**-**
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**15 140,5**	**8 030,5**	**7 980,4**

1457	მათ შორის, შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	1 272,7	1 272,6	1 280,4
1454	ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	1 221,5	1 300,0	1 200,0
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6 967,5	5 457,9	5 500,0

თავი III

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 563,591.3 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
ხარჯები	**632 766,0**	**635 981,6**	**563 591,3**
შრომის ანაზღაურება	42 343,5	96 900,3	87 670,2
საქონელი და მომსახურება	114 269,6	135 616,8	126 964,4
პროცენტი	286,9	1 893,1	1 823,4
სუბსიდიები	159 302,2	85 637,9	83 956,7
გრანტები	23 983,2	931,5	29,5
სოციალური უზრუნველყოფა	180 764,0	177 013,3	146 574,3
სხვა ხარჯები	111 816,6	137 988,6	116 572,8

მუხლი 8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 63,014.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 128,014.8 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პროგრამა	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შეკეთება	41 147,8	46 140,9	45 411,6
01 02	ტრანსპორტის განვითარება	10 843,2	8 696,8	2 810,0
02 01	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	17 201,6	23 043,4	22 051,2
02 03	საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	1 682,2	1 026,3	1 907,5
02 05	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	-	1 213,0	2 000,0
02 07	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	428,9	800,0	500,0
02 08	მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები	158,4	-	-
02 09	კეთილმოწყობის ღონისძიებები	12 424,9	14 994,8	21 636,5
02 10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	29,9	106,1	30,5
02 11	2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები	32 687,8	1 317,2	1 500,0
03 01	გამწვანების ღონისძიებები	3 662,5	4 982,0	946,0
03 03	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	283,1	30,0	958,0
04 04	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	-	115,0	-
04 07	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	-	-	300,0
04 08	თბილისი-ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი	15,6	-	-
04 10	ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	2 621,1	166,0	85,0

04 12	დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა	90,0	1 930,0	780,0
04 13	თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი	95,3	-	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	688,3	1 096,8	894,6
06 02	სოციალური დაცვა	33,6	-	-
07 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	7 115,1	8 918,3	11 409,8
07 02	ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა	84,5	483,5	1 622,1
07 03	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	118,3	287,0	216,6
07 06	მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	15,0	410,0	1 157,9
08 01	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	100,1	-	-
08 03	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	44,5	14,0	-
08 04	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	174,7	113,7	1 473,0
08 05	კულტურის ღონისძიებები	6,9	-	-
08 06	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	16 003,1	5 807,0	8 421,1
08 07	„თბილისი - 2015" ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები	65 103,5	-	-
08 08	ახალგაზრდული ღონისძიებები	213,8	6,0	123,0
08 09	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	3,9	-	-
08 11	კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში	4,9	-	-
09 02	ცხოველთა მონიტორინგი	290,2	169,0	151,8
10 01	ქ.თბილისის საკრებულო	89,3	100,0	50,0
10 02	მერიის ადმინისტრაცია	2 307,6	1 931,4	1 232,6

10 20	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური	22,1	40,0	-
10 27	გლდანის რაიონის გამგეობა	31,6	55,0	35,0
10 28	ნაძალადევის რაიონის გამგეობა	40,6	40,0	37,0
10 29	დიდუბის რაიონის გამგეობა	34,8	56,1	17,1
10 30	ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	23,3	25,0	19,6
10 31	ვაკის რაიონის გამგეობა	50,2	37,5	45,0
10 32	საბურთალოს რაიონის გამგეობა	39,3	5,0	5,0
10 33	ისნის რაიონის გამგეობა	23,0	10,0	36,8
10 34	სამგორის რაიონის გამგეობა	127,1	9,9	82,5
10 35	კრწანისის რაიონის გამგეობა	15,8	30,0	45,0
10 36	მთაწმინდის რაიონის გამგეობა	18,3	10,0	23,0
10 40	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი	184,8	31,4	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	**216 380,4**	**124 248,0**	**128 014,8**

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 65,000.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
31	არაფინანსური აქტივების კლება	**35 004,7**	**67 000,0**	**65 000,0**
311	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	8 697,5	30 000,0	30 000,0
314	შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	26 190,5	37 000,0	35 000,0

მუხლი 9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	**70 560,1**	**79 449,6**	**68 671,2**
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	63 727,5	72 014,4	63 436,0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	63 727,5	68 814,4	61 436,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	3 200,0	2 000,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	286,9	1 893,1	1 173,4
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	6 545,7	5 542,2	4 061,8
703	**საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	**25 019,0**	**100,0**	**665,7**
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	25 019,0		
7033	სასამართლოები და პროკურატურა		100,0	665,7
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	**98 693,8**	**105 053,7**	**99 110,3**
7045	ტრანსპორტი (მათ შორის გზები)	93 679,2	102 982,4	97 029,5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	5 014,6	2 071,3	2 080,8
705	**გარემოს დაცვა**	**12 025,4**	**16 340,8**	**18 423,0**
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	-	-	-
7052	ჩამდინარე წყლების მართვა		2 200,0	2 500,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	12 025,4	14 140,8	15 923,0
706	**საბინაო–კომუნალური მეურნეობა**	**191 870,9**	**208 200,4**	**185 510,5**
7061	ბინათმშენებლობა	63 286,5	98 200,5	82 101,5
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	17 877,8	26 443,4	23 851,2

7063	წყალმომარაგება		608,4	1 010,0
7064	გარეგანათება	18 174,0	18 813,0	20 194,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	7 678,2	9 796,3	7 821,8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო – კომუნალურ მეურნეობაში	84 854,4	54 338,8	50 532,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	**31 510,4**	**41 290,0**	**39 983,9**
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	459,0	30 450,0	29 995,1
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	31 051,4	10 840,0	9 988,8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	**142 028,9**	**36 376,6**	**36 387,3**
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 073,1	2 887,1	3 987,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	10 002,4	19 981,8	17 150,6
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა		1 000,0	1 087,2
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	129 953,4	12 507,7	14 162,0
709	განათლება	**93 104,9**	**102 734,4**	**105 189,4**
7091	სკოლამდელი აღზრდა	84 490,5	94 898,0	94 891,0
7093	პროფესიული განათლება	78,2	80,0	90,0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	2 875,0	180,0	195,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	5 661,2	7 576,4	10 013,4
710	სოციალური დაცვა	**184 333,0**	**170 684,2**	**137 664,8**
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	42,8	44,4	53,4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	71 954,2	55 096,5	42 207,9
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	5 947,6	6 873,8	7 404,6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	106 388,4	108 669,5	87 999,0
	სულ	**849 146,4**	**760 229,6**	**691 606,1**

თავი IV

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 108,295,9 ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 101,883.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 103,283.4 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
	67 898,3	**78 638,8**	**103 283,4**
ვალუტა დეპოზიტები	2 957,6	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	64 940,8	78 638,8	103 283,4

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1,400.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
	29 028,5	**41 300,0**	**1 400,0**
ვალუტა დეპოზიტები	28 930,9	40 800,0	1 100,0
სესხები	97,5	500,0	300,0

მუხლი 12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (6,412.5) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
საშინაო	18 000,0	-	-

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 6,412.5 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
	18 735,9	**9 057,6**	**6 412,5**
საშინაო	18 735,9	9 057,6	6 412,5
საგარეო			

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2017 წლის ბოლოსთვის 82,990.5 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

კრედიტორები	ვალის ნაშთი **2017** წლის ბოლოსათვის
მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის მომსახურება	8 497,5
ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) *	74 493,0
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	**82 990,5**

შენიშვნა: მოცულობის გამოთვლისას გამოყენებულია საპროგნოზო გაცვლითი კურსი : 1 ევრო - 2.7590 ლარი

თავი V

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენა კვლავ ერთერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება დედაქალაქისათვის. ბოლო წლების განმავლობაში დედაქალაქის გზების მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს არსებული გზების რეკონსტრუქციას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზებას, ზოგ შემთხვევაში უსაფრთხო, ცენტრალური უბნების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობას და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას, გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, მეტროს ვაგონების და მეტროს სადგურების რეაბილიტაციას, სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება (კოდი 01 01)

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც

ხელს შეუწყობს ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვას ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, გაგრძელდება მუშაობა ძირითადი მაგისტრალური და შიდა კვარტალური გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოხდება გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რითაც მნიშვნელოვნად მოწესრიგდება შემოერთებული ტერიტორიებიდან ქალაქთან მისასვლელი გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ნაკადების მაჩვენებლებზე.

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი: 01 01 01)

ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია თბილისის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია და სხვა.

გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში (კოდი: 01 01 08; 01 01 09; 01 0110; 01 01 11; 01 01 12; 01 01 13; 01 01 14; 01 01 15; 01 01 16; 01 01 17)

ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზებისა და შიდა ეზოების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება (სანიაღვრეს ან ბორდიურის ჩათვლით), ახალი ქვაფენილის მოწყობა, დაზიანებული ქვაფენილის აღდგენა/შეკეთება, შემოერთებულ ტერიტორიებზე ამორტიზებული გზების მოხრეშვა მოსწორება, რომელიც განაპირობებს რაიონში არსებული გზის საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესებას, რის შედეგადაც უსაფრთხო გახდება ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

ტრანსპორტის განვითარება (კოდი: 01 02)

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას.

შუქნიშნების მართვის ცენტრის ექსპლუატაციას, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას, ავტობუსის გაჩერებებზე სამარშრუტო ხაზზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, მეტროს ვაგონებისა და მეტროს სადგურების რეაბილიტაციას, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01)

ქვეპროგრამის მიზანია ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და გადასასვლელების მოწყობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილებში მარშრუტებზე მომუშავე M3 კატეგორიის ავტობუსების ფაქტიური მიმოსვლის ინტერვალის შესახებ თბილისის მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ახალი ავტობაზის მშენებლობის დაწყება. დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოწკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტით და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული დასახლებების, სოფლებისა და დაბის გზებსა და გზაჯვრედინებზე ლითონის ძელებიანი ზღუდარების შეძენა- დამონტაჟება; გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატრება და გადასასვლელების მოწყობა;

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებელის დამონტაჟება; ქ.თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ მრუდეებზე (მოსახვევებში) სფერული სარკეების მოწყობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე ელექტრონული ტაბლოების შეძენა და დგარებით დამონტაჟება, ელექტრონული ტაბლოების ძაბვის გამანაწილებელ ქსელებზე მიერთების სამუშაოების განხორციელება. მოძველებული მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის განახლება, კერძოდ, ქვესადგურების კაბელების შეცვლა, ქვესადგურების და მაღალი ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობების მოდერნიზება, რადიოსამატარებლო კავშირის პროექტირება-მოდერნიზაცია და სხვადასხვა მოწყობილობების და მასალების გადაიარაღება-აღჭურვა თანამედროვე სტანდარტებით. საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლებისათვის ახალი ავტობაზის მშენებლობის დაწყება. ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება; საზოგადოების ჩართულობასთან მიმართებაში ცნობიერების ამაღლება; განხორციელდება სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის ზრდა.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02)

ქვეპროგრამის მიზანია მეტროს ვაგონებით მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის პარკში არსებული მოძველებული მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია. მეტროს ვაგონების ინვეტარული პარკი შედგენა 195 ვაგონებისაგან, მოდერნიზებულია 157 ვაგონი. მათ შორის 80 სათაო ვაგონი და 69 შუა ვაგონი. საშუალო შეკეთება ჩაუტარდა 8 ვაგონს, მათ შორის 4 სათაო და 4 შუა ვაგონი. ამასთან კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 116 წევის ძრავს. 2017 წლისათვის ნორმატიული გარბენის რესურსი ეწურება 30 ვაგონს. მოდერნიზაციას (კაპიტალური რემონტი) ექვემდებარება 6 ერთეული სათაო ვაგონი და 4 ერთეული შუა ვაგონი. საშუალო რემონტი ჩასატარებელი აქვს 10 ერთეულ სათაო ვაგონს და 10 ერთეულ შუა ვაგონს. კაპიტალურად შესაკეთებელია 30 წევის ძრავი. განხორციელდება სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის ზრდა.

მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (კოდი: 01 02 03)

დღეს არსებული თბილისის მეტროს სადგურების ვესტიბიულები არაჯანსაღი და უსაფრთხოების თვალსაზრისით საშიში მასალებით არის მოწყობილი და ექვემდებარება გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. ქვეპროგრამის მიზანია მათი განახლება, რეკონსტრუქცია, მშენებლობა. პროექტის ფარგლებში აუცილებელია განხორციელდეს მეტროს სადგურების: სადგური "ავლაბარი", სადგური "თავისუფლების მოედანი", სადგური "მარჯანიშვილი", სადგური "სადგურის მოედანი-1", ვეტიბიულების და დახრილი გვირაბების კაპიტალური რემონტი; სადგური "გურამიშვილი", სადგური "ვაგზლის მოედანი-2" - პროექტირება და კაპიტალური შეკეთება; განხორციელდება სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის ზრდა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება (კოდი: 01 02 04)

ქვეპროგრამის მიზანია „ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის მერიის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა

საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი: 01 02 08)

ქ. თბილისის განსაკუთრებულად რთულმა რელიეფმა და ტურიზმის განვითარებამ მოითხოვა არსებული საბაგირო გზის ინფრასტრუქტურის განახლება და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით თბილისის სტუმრების, ტურისტების და მოსახლეობის მომსახურება. ქვეპროგრამის მიზანია საბაგირო გზების რეკონსტრუქცია, ახლის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას და სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვას, ხმაურის და გამონაბოლქვის შემცირებას. კერძოდ, "რიყე-ნარიყალას" დამაკავშირებელი საბაგირო გზის ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობა. მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საბაგირო გზის ორი სადგურის მოწყობა ხუთი საყრდენი ანძით, გზის სავარაუდო სიგრძე შეადგენს 980 მეტრს. მგზავრებს მოემსახურებათ 20 გონდოლა,

საშუალოდ თითო 6 ადამიანზე. გზის გამტარუნარიანობაა 1100 კაც/სთ. საბაგირო გზის ზედა სადგური (მთაწმინდის პარკში) შენდება ახალი თანამედროვე არქიტექტურით ხის მასალით შეფუთული, ქვედა სადგურზე (მეცნიერებათა აკადემიის ეზო) მოხდება ძველი სადგურის შენობის აღდგენა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა. განხორციელდება სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის ზრდა.

2. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ძირითად პირობად დღეისათვის კვლავ რჩება საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, რაც სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. გარდა ამისა, დედაქალაქში ამჟამად მრავლად არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. ამ მიზნით გათვალისწინებულია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა პრიორიტეტი ითვალისწინებს ავარიული შენობების გამაგრებას, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციას, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობას, კეთილმოწყობის ღონისძიებების ჩატარებას, ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობას, ქალაქგაფორმებით ღონისძიებებს, ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა.

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა– რეკონსტრუქცია (კოდი: 02 01)

პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მოწესრიგებას. დედაქალაქში ამჟამად მრავლად არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია თბილისში საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია,

სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ხიდების და გვირაბების მოწყობა რეაბილიტაცია, ფეხითგადასასვლელი ხიდების მშენებლობა, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და სხვა.

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი: 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების დაცვას, ასევე დედაქალაქის მოსახლეობაზე განაწილებული და დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსების (მათ შორის კოოპერატიული სახლები) დასრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას

საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03; 02 03 01; 02 03 01)

პროგრამის მიზანია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. პროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია საინჟინრო ნაგებობების (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) მშენებლობა–რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ–კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა–რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების მშენებლობა–რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ–

ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა–ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების მეთოდი) და დასკვნების მომზადება; საპროექტო–ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი: 02 05)

პროგრამის მიზანია ქალაქში განათებული ქუჩების და მხატვრულად მინათებული შენობა-ნაგებობების რაოდენობისა და განათების ინტენსიობის გაზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ქ.თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. ქალაქის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება. გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება.

სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი: 02 06)

ქალაქის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა, კვეთის სიმცირის გამო. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.თბილისის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას.

ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი: 02 07)

პროგრამის მიზანია დედაქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფომებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და

მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, თბილისში არსებული ძეგლების მოვლა-პატრონობა, ძეგლების მშენებლობისა და აღდგენის ღონისძიებები, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლუატაცია და დემონტაჟი, სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების, გახმოვანების აპარატურით მომსახურება და სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 09)

პროგრამის მიზანია დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძეზები (კოდი: 02 09 01)

დედაქალაქის საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; ვაზიანის ქიმიური სამარხის მოვლა–პატრონობა; შადრევან–აუზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია); დახურული ნაგავსაყრელი პოლიგონების დაცვა; დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა.

ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება (კოდი: 02 09 08)

ქვეპროგრამის მიზანია მერიის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობა, დედაქალაქის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა-შენახვა; სასაწყობო მეურნეობის მოვლა-მოწესრიგება და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველსაყოფად შემზღუდავი ჯებირების მოწყობა და ალაგება, ტვირთების გადაზიდვა, კარვების მოწყობა, ახალი შემზღუდავი ჯებირების შეძენა და სხვა ღონისძიებები.

უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი: 02 09 09)

არსებული მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლება თვითნებური დაკავების და სარგებლობისაგან და მასზე არსებული უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი. უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმების მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტების დემონტაჟი. უკანონო შენობა-ნაგებობების არსებობა ამახინჯებს დედაქალაქის იერსახეს და ზღუდავს საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცეებით სარგებლობას. ამადროულად თვითმმართველის ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განხორციელებული უნებართვო მშენებლობის შედეგად ხდება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უკანონო ხელყოფა. ქვეპროგრამის მიზანია გამოთავისუფლდეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთები მასზე არსებული უნებართვო შენობა-ნაგებობებისგან, უკანონო და უსახური კონსტრუქციების დემონტაჟის გზით შენარჩუნდეს და მოწესრიგდეს დედაქალაქის იერსახე და გამოთავისუფლდეს საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცეები უკანონო შეზღუდვებისგან. აგრეთვე, სხვა უკანონო ქმედებების ზედამხედველობა.

კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 02 09 10; 02 09 11; 02 09 12; 02 09 13; 02 09 14; 02 09 15; 02 09 16; 02 09 17; 02 09 18; 02 09 19).

ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. განხორციელდება საინჟინრო კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრება, სპორტული მოედნების, სკვერების, საყრდენი კედლების, უსაფრთხოების მოაჯირების, საფეხმავლო ბილიკებისა და სადრენაჟე, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ნიჟარების ექსპლუატაცია, დასასვენებელი და საბავშვო კუთხეების მოწყობა, საბაღე სკამების დამზადება და მონტაჟი, გამწვანების ღონისძიებები (ნერგების შესყიდვა, ხეების სხვლა, ფორმირება, მოტეხილი და მოთხრილი ხეების მოჭრა და გატანა, ბალახის თიბვა, გამწვანებული ტერიტორიების მორწყვა და სხვა), მოსახლეობის დახმარების მიზნით გაზიფიცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (ინდივიდუალური და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების გაზიფიცირება, შემოერთებული ტერიტორიის მაგისტრალური ქსელის მოწყობა და სხვა), რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების დახმარება, მწვავე ავარიული შენობების დემონტაჟი, რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა, პანდუსების მოწყობა შშმპ-სათვის და სხვა ღონისძიებები.

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 02 10)

პროგრამის მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ინფრასტრუქტურისა და გარემოს რეაბილიტაციის სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ქონების მართვისა და ეფექტური გამოყენების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა, ისტორიული უბნების შესწავლა და ქალაქგანვითარების პროექტების ხელშეწყობა, სხვადასხვა უბნებში ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა, ქალაქის ისტორიული ნაწილის მოვლა-პატრონობისთვის ფინანსების მობილიზაციის შესაძლებლობების კვლევა და ოპტიმალური გამოყენება, კერძო ინვესტორების ჩართულობა და გადაუდებელი პროექტების განხორციელება, ქალაქის რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის

დანერგვის უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებისთვის პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება და/ან განხორციელებაზე კონტროლი და სხვა ღონისძიებები.

2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი: 02 11)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მოხდარი ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის: დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის, სხვა სახის ფულადი დახმარებების და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სხვადასხვა ღონისძიებები.

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და გარე-იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, ახალი სკვერების მოწყობა და არსებულის რეკონსტრუქცია-რესტავრაციით დედაქალაქს შეემატება თანამედროვე ტიპის საერთო სარგებლობის დასასვენებელი კერები. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების ღონისძებები, ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბება და სხვა.

გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01)

პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თბილისის mწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა–პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი); ქ.თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და

მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბელვა და კუნძების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა; სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია; საპარკე ფურნიტურის მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში და სხვა ღონისძიებები.

დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ხევების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება შპს "თბილსერვის-ჯგუფის"-ს კაპიტალის ზრდა.

თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03)

მსოფლიოს და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს: ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი

და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია.

თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 01)

ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება და აღდგენა როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში; მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით. ზოოლოგიური პარკის ცოცხალი კოლექციის შემდგომი გამდიდრება ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს: ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; იშვიათი, ენდემური და გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შესაფერისი პირობებით უზრუნველყოფას მათი დაცვის, პოპულარიზაციის, კონსერვაციისა და რეპროდუქციის მიზნით (განსაკუთრებული ყურადღება საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა სახეობებს ექცევა); განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საქართველოს ენდემური და წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველების დაცვას, ტყვეობის პირობებში გამრავლებასა და რეინტროდუქციას (რეინტროდუქცია – ცხოველების ბუნებრივ საარსებო გარემოში დაბრუნება); საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანება საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს, მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გააგზავნოს თანამშრომლები სტაჟირებაზე ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველების კოლექცია. სტიქიის შედეგად შემცირებული კოლექციის შევსება ახალი ცხოველებით. ახალი ცხოველების მისაღებად მოსამზადებელი

სამუშაოების ჩატარება (ადგილების შერჩევა და ახალი ვოლიერების აშენება). ახალი ტერიტორიის (თბილისის ზღვაზე) ეტაპობრივი ათვისება (მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები, ახალი ვოლიერების პროექტირება და მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება).

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02)

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის საქმიანობის ხელშეწყობა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (BGRI) პრინციპების გათვალისწინებით. აგრეთვე ბაღის მცენარეთა კოლექციის დაცვის უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის, მატერიალური-ტექნიკური რესურსების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღში მერქნიან მცენარეთა კოლექციის ინტროდუქციას, კონსერვაციასა და მცენარეთა დაცვის ხელშეწყობას, ასევე ბოტანიკურ ბაღში ლანდშაფტური არქიტექტურის დაცვა-განვითარებასა და ყვავილოვანთა კოლექციის განახლების ხელშეწყობას. საერთაშორისო ჩართულობით ჩატარდება ბოტანიკური ბაღის საჭიროებების კვლევა და არსებული მდგომარეობის ანალიზი. ბაღი მონაწილეობას მიიღებს ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო კონგრესში. გაგრძელდება ცალკეული სამეცნიერო პროექტების განხორციელება, მათ შორის თბილისის შემოგარენში სხვადასხვა დროს გაშენებული ტყის კულტურების ხმობის მიზეზების, გატყევებისათვის მდგრადი მერქნიანი სახეობების შერჩევისა და გაშენების აგროწესების დამუშავების მეცნიერული შესწავლა, კავკასიის მცენარეთა წითელ ნუსხაში შეტანილი ზოგიერთი პრიორიტეტული საკონსერვაციო სტატუსის მქონე სახეობის თვითგანახლების შესაძლებლობის შესწავლა. ასევე გაგრძელდება კავკასიის იშვიათი, რელიქტური და ენდემური ზეოგიერთი მერქნიანი მცენრეების ბიოეკოლოგიური თავისებურებების და თბილისის ეროვნული პარკში (საგურამოს ქედზე) გავრცელებული სამკურნალო მცეანრეთა მრავალფეროვნების შესწავლა. გაგრძელდება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სამეცნიერო კველვა ფიჭვისებრთა ოჯახის წარმომადგენლების ფიტოპათგენური სოკოებისა და მავნებლების გამოვლენა, ხმობის მიზეზების დადგნება და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების გამოყენება.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი გააგრძელებს საერთაშორისო საგრანტო პროექტებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, ათასწლეულის თესლის ბანკის პარტნიორობის ფარგლებში (კიუს სამეფო ბოტანიკური ბაღი - დიდი ბრიტანეთი) კერძოდ, კავკასიის, საქართველოს ფლორის კრიტიკული საფრთხის წინაშე მდგომი სახეობების ეხ სიტუ კონსერვაცია - თესლის ბანკის შევსების გზით. გაგრძელდება ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეკონსტრუქცია, სარწყავი წყლის სისტემის დაზიანებული უბნებისა და შენობა-ნაგებობების რემონტი, ცენტრალურ მარშრუტზე მოეწყობა ახალი საპიროფარეშო, მომზადდება ბაღისათვის პერსპექტული საპროექტო დოკუმენტაცია. განახლდება ბოტანიკური ბაღის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გატარდება ღონისძიებიბი ბოტანიკური ბაღის ცნობადობის გაზრდისა და ეკოსაგანმანათლებლო როლის ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ზრდის მისაღწევად, აუცილებელია ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პროექტების შემუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნას. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს თბილისში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში; პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, როგორიცაა: ქალაქის ტურისტული შესაძლებლობათა რეალიზაცია, მეწარმეობის განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობები; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა); ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტების განხორციელება; მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი

ხარვეზების აღმოფხვრა, თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა; გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრა და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნა და სხვა.

ბიზნესის სტიმულირება (კოდი: 04 01)

პროგრამა ემსახურება თბილისში რეგისტრირებულ ან მოქმედ სამეწარმეო სუბიექტების ბიზნეს სტიმულირებას. პროგრამა მიზნად ისახავს ბიზნესისა და მეწარმეობის ეფექტურად წარმართვისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზანია გამოვალინოს პრიორიტეტული დარგები და ხელი შეუწყოს ამ დარგებისთვის საჭირო ადამინური რესურსების კომპეტენციის ზრდას, დარგის პოპულარიზაციას, სტიმულირება/განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეხვედრების, კონფერენციების, ფორუმების, სამიტების ორგანიზებას. სამეწარმეო სუბიექტებისათვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებას, ინტელექტუალურ მხარდაჭერას, ძირითადი მიზნის მისაღწევად მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელეაბს, ვებ გვერდებისა და სხვადასხვა ტიპის აპლიკაციების შექმნა. პროგრამა გულისხმობს დარგის მოთამაშეებთან მჭიდრო კომუნიკაციას, საჭიროებების დროულ იდენტიფიკაციას და ეფექტურ მხარდაჭერას.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარების სტრატეგიების და გეგმების შექმნა და დახვეწა. მათზე დაყრდნობით შეიქმნება სტრატეგიული მნიშვნელობის პროგრამები და პროექტები. სტრატეგიების და პროექტების დაგეგმვისათვის საჭირო იქნება კვლევების ჩატარება და ბაზების შექმნა. ასევე, მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, განავითაროს თბილისში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები და ადგილები. როკფელერის ფონდის მიერ დაფინანსებული ,,100 მედეგი ქალაქის'' (100 Resilient Cities) ფარგლებში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიპოვა გრანტი 1 მილიონი აშშ დოლოლარის ოდენობით.

პროექტის ფარგლებში სახსრების ხარჯვა მოხდება უშუალოდ ,,100 მედეგი ქალაქის'' მიერ კონკრეტული, წინასწარ გაწერილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც მოიცავს: Chief

Resilience Officer-ის (CRO) პოზიციის დანერგვას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში და მისი დაფინანსება 2 წლის განმავლობაში; ქალაქის მედეგობის სტრატეგიის (City Resilience Strategy) შემუშავებას; სტრატეგიის შემუშავების და დანერგვის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების მომსახურება (80-მდე საერთაშორისო მასშტაბის ორგანიზაცია, რომლებიც წევრ ქალაქებს მიაწვდიან სხვადასხვა სახის 121 მომსახურებას ქალაქისთვის აქტუალურ საკითხებსა და იმ სფეროებზე, სადაც გამოცდილება და ცონდა შეზღუდულია/არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული მომსახურება ფონდს წევრი ქალაქებისთვის შეფასებული აქვს 200 მილიონ აშშ დოლარად); მედეგი ქალაქების ქსელის წევრობა და სხვა ქალაქების გამოცდილების, კვლევების, სტანდარტების და სტრატეგიების გამოყენება. ასევე Chief Resilience Officer-ის მიერ ექსპერტების მომსახურების გამოყენება. გრანტის შედეგად მიღებული სახსრების ასახვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ მოხდება და მათი ხარჯვა განხორციელდება დონორის მიერ შერჩეული ორგანიზაციების მიერ.

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04)

ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება; ასევე, საზღვარგარეთ თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა; არსებულ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცება და ახალ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება; ევროპულ ინიციატივებთან მიერთება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა); "მერების შეთანხმებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, ენერგოეფექტური პროექტების განხორციელების, სუფთა, განახლებადი ენერგიების პოპულარიზების და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა.

მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი: 04 07)

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში

გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა. პროგრამაში გათვალისწინებულია შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები.

შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი: 04 07 02)

ქვეპროგრამის მიზანია სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების კომპეტენტურად და წარმატებით გადაწყვეტა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და შემდგომში თითოეული მათგანის კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ეფექტურობის ამაღლება.

სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი: 04 07 03)

ქვეპროგრამის მიზანია საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების ექსპერტული ანალიზის შედეგად დადგენის მომსახურების შესყიდვა.

საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 04 07 05)

ქალაქ თბილსის მუნიციაპლიტეტის მერიის საფინანსო სისტემა, პერმანენტულად საჭიროებს განახლებასა და გაუმჯობესებას, რათა ადეკვატურად პასუხობდეს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და საჭიროებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იქნება აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად. "საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 და მე-14 მუხლების, ასევე საქართველოს კანონის "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-7 მუხლისა და მე-5 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ვალდებულნი არიან კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოონ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინონ ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს. ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბალანსის შემოწმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აუდიტორული მომსახურების შესყიდვა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საფინანსო სისტემის გაუმჯობესებესების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შეძენა. ასევე განხორციელდება ახალი სისტემის დანერგვისათვის საჭირო, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა.

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი: 04 08)

პროგრამის მიზანია ქალაქის ტურისტული შესაძლებლობათა რეალიზაცია, ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა და დადებითი იმიჯის შექმნა. პროგრამა მიზნად ისახავს, შეიქმნას ნათელი სურათი და ერთიანი ხედვა, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი და აღქმული თბილისი როგორც ბრენდი, თავისი განსაკუთრებული მახასიათებლებით. ასევე, როგორ უნდა მოხდეს მისი პოზიციონირება მსოფლიოს ტურისტულად მიმზიდველ ქალაქებს შორის. ტურისტული ატრაქციების შექმნას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, თბილისის ოფიციალური ტურისტული ვებ-გვერდის შექმნას; მიზნობრივ გამოფენებსა და ფორუმებზე საიმიჯო პროდუქციით წარდგენას. ასევე თბილისის შესახებ ტურისტული ინფორმაციის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09)

პროგრამის მიზანია ინვესტორთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების რეალიზაცია. შესაბამისად: პროგრამა უზრუნველყოფს ქ.თბილისის მერიის მუდმივ კოორდინაციას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დედაქალაქის მუნიციპალიტეტებთან და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებთან ინვესტორთათვის ერთი ფანჯრის პრინციპით მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. დაინტერესებულ პირებს პროგრამა მიაწოდებს ინფორმაციას ქალაქისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების, საინვესტიციო გარემოსა (რეგულაციებისა და პროცედურების ჩათვლით) და სხვა ეკონომიკური მონაცემების შესახებ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდება საინვესტიციო პაკეტები დაინტერესებული

ინვესტორებისთვის. ჩამოყალიბდება ხედვა და სამოქმედო გეგმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, ქალაქს მიეცემა საშუალება საერთაშორისო საინვესტიციო გამოფენებსა და ფორუმებზე წარმოაჩინოს ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობები, ასევე ორგანიზება გაუწიოს ადგილობრივ საინვესტიციო ფორუმებს. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქალაქის წარმომადგენლების მჭიდრო თანამშრომლობას და გამოცდილების ურთიერთ-გაზიარებას სხვადასხვა ქალაქებთან და საინვესტიციო ჯგუფებთან.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი: 04 10)

პროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშეწობა და განვითარება. 1. სხვადასხვა სფეროში ინოვაციური პროექტების მომზადება და განხორციელება; 2. ქალაქისთვის SMART CITYკონცეფციის ხელშეწყობა; 3. ენერგოეფექტური და მდგრად ენერგეტიკასთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება. პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება კვლევები და განხორციელდება საპილოტე პროექტები რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ქალაქისთვის მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (კოდი: 04 12)

პროგრამის მიზანია დედაქალაქის მდგრადი განვითარება და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველოფა, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრა და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნა.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის - ტერიტორიული დაგეგმვის ნორმატიულ სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, უზრუნველყოფს მისი, როგორც დედაქალაქისა და ეკონომიკური სამეცნიერო–კულტურული, სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქმშენებლობისა და ქალაქრეგულირების მეშვეობით განსაზღვრავს და უზრუნველყოფს დედაქალაქის ტერიტორიული განვითარების მიმართულებას, საზღვრების დადგენას, ტერიტორიულ ფუნქციურ დანიშნულებას და უფლებრივ ზონირებას, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებას

("ჯანმრთელი ქალაქი, მწვანე ქალაქი, კომპაქტური ქალაქი), საინჟინრო–სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და განვითარებას, ეკოლოგიურ მდგრადობას, დედაქალაქის ტერიტორიის საშიში ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესებისაგან დაცვას, დედაქალაქის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ნაწილების ურთიერთკავშირებს, არსებული საცხოვრებელი განაშენიანების რეორგანიზაციას, ისტორიულ გეგმარებითი სივრცითი თავისებურების შენარჩუნებას, ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და განვითარებას, რეკრეაციული საპარკო ზონების შენარჩუნებას.

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

პრიორიტეტი ითვალისწინებს ამხანაგობების გააქტიურებას საკუთარი და მერიის თანამონაწილეობით საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად. დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საქმეში. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ძნელია მოქალაქეებმა საკუთარი სახსრებით მიხედონ საერთო სარგებლობის ქონებას. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებით და ღონისძიებებით მერია აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, მათ შორის: ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 05 01; 05 01 08; 05 01 0 9; 05 01 10; 05 01 11; 05 01 12; 05 01 13; 05 01 14; 05 01 15; 05 01 16; 05 01 17)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაციისთვის, განახლებისთვის და ექსპლუატაციისთვის საჭირო სამუშაოებზე თანადაფინანსების პრინციპით ხარჯების გაწევას. თანადაფინანსება განხორციელდება პროცენტულად შემდეგ ღონისძიებებზე: შენობის სახურავის შეკეთება (ბრტყელი გადახურვა და ქანობიანი გადახურვა); ლიფტების მიმდინარე შეკეთება, შენობების კაპიტალურ გამაგრება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ. მიშენების (არა ინდივიდუალური) კონსტრუქციების

მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრა, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება, ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება (წითელ ხაზებში მოქცევა), სადარბაზოების შიდა რემონტი, სადარბაზოს შესასვლელი კარების დამზადება-მონტაჟი, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსების სპეციალური ამწეების და ლიფტების მონტაჟი და სხვა ღონისძიებები. ასევე, გათვალისწინებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის საპილოტე პროექტი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სატრენინგო ან/და საკონკურსო პროექტები და სხვა ღონისძიებები.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის მხარდაჭერა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. პრიორიტეტი ითვალისწინებს პროგრამებს, რომლებმაც მოსახლეობისათვის უნდა გაზარდოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, გააუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოს მათთვის აუცილებელი სოციალური გარანტიების შექმნა. შესთავაზოს მოსახლეობას ის სოციალური ბენეფიტები, რომლებიც დაფუძნებულია მათ საჭიროებებზე. პრიორიტეტის ფარგლებში ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან გარანტირებული სოციალური დახმარებებით. ამ მიზნით განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის: სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, დახმარება კომუნალური გადასახადების დაფარვაზე, თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის მოვლა-პატრონობა და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობების მიერ მოსახლეობის მხარდაჭერისათვის ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები და ღონისძიებები.

ჯანმრთელობის დაცვა (კოდი: 06 01)

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობებების მიზნით, განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანდაცვის ქვეპროგრამები, როგორიცაა: სასწრაფო სამედიცინო დახმარება, დაავადებათა სკრინინგი, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია, ,,c" ჰეპატიტით დაავადებულ პირების კვლევების დაფინანსება, ტრანსპლანტაცია, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება და სხვა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი: 06 01 01)

მოსახლეობისათვის კრიტიკულ მდგომარეობაში სასწრაფო სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომი, დროული და ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფა და კონკრეტულ შემთხვევებში სტაციონარში გადაყვანა.

დაავადებათა სკრინინგი (კოდი: 06 01 02)

ქვეპროგრამა გულისხმობს ქ.თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის სკრინინგული გამოკვლევების დაფინანსებას. კიბოს სკრინინგის კუთხით პროგრამა მოიცავს ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგს:

•ძუძუს კიბოს სკრინინგი - 2 წელიწადში ერთხელ. აღნიშნული კომპონენტი მოიცავს: მამოლოგის გასინჯვას, მამოგრაფიულ გამოკვლევას (2 რადიოლოგის მიერ წაკითხვით), პათოლოოგიის გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს ულტრაბგერით გამოკვლევას, ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას და ძუძუს ციტოლოგიურ გამოკვლევას.

•საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 3 წელიწადში ერთხელ. აღნიშნული კომპონენტი მოიცავს: გინეკოლოგის კონსულტაციას, პაპ–ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით. ნაცხში პათოლოგიის აღმოჩენის შემთხვევაში კოლპოსკოპიურ სკრინინგს და/ან კოლპოსკოპიურ სკრინინგს მორფოლოგიით.

- პროსტატის კიბოს სკრინინგი - სისხლში პროსტატის კიბოს PSA სპეციფიური ანტიგენის გამოკვლევას.

• კოლორექტული კიბოს სკრინინგი - ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT) ჩატარებას, საჭიროების შემთხვევაში, კოლონოსკოპიურ სკრინინგს და/ან კოლონოსკოპიურ სკრინინგს მორფოლოგიით.

ასევე, ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგული კვლევებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის მიზანია: სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდის გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება; ორთოპედიულ დაავადებათა დროული გამოვლენა და ბენეფიციარის მკურნალობაში დროული რეფერირების გზით დაავადებების გამოსავლის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)

ქვეპროგრამა გულისხმობს გადამდებ დაავადებათა პრევენციას, გადამდებ დაავადებებათა აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის განხორციელებას, მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობას და ანტირაბიული სამედიცინო დახმარების მიწოდების ხელშეწყობას,სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ეპიდკერაში დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებას. სისტემა. გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენა, ეპიდკერებში დროული და ადექვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზება-გატარება ქვეყანაში უზრუნველყოფს დაავადებებზე ეპიდსიტუაციის კონტროლს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებას. ასევე, მოიცავს ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საინფორმაციო კამპანიების წარმოებას. ქვეპროგრამის მიზანია ქ.თბილისში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი: 06 01 06)

ქვეპროგრამა გულისხმობს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რისთვისაც ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა), კომპლექსური თერაპიის დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 (მინიმუმ ერთსაათიანი) სეანსი. ქვეპროგრამის მიზანია აუტისტური სპექტრის აშლილობების (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა სპეციფიკური აბილიტაციისა და ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის გზით.

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 07)

ქვეპროგრამა გულისხმობს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აღიარებული დანიშნულების (თარგეტული/დამიზნებითი თერაპიის) შესაბამისად ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას. ამასთან, მედიკამენტები (ტრასტუზუმაბის, პერტუზუმაბი) Her2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ან Her2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირებს უფინანსდებათ.

ძუძუს კიბო ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეა ქალებში. იგი ქალთა 10%-ს უვითარდება სიცოცხლის განმავლობაში. ყოველწლიურად საქართველოში 1200 შემთხვევა რეგისტრირდება (მ.შ. 450-500 შემთხვევა). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაავადების ინციდენტობა მსოფლიოში იზრდება, რაც ზოგადად ონკოლოგიური დაავადებებისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა, თუმცა სკრინინგისა და მკურნალობის თანამედროვე

მეთოდების გამოყენების შედეგად ძუძუს კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა კლებულობს. რისკის კატეგორიების შეფასების თვალსაზრისით აღსანიშნავია HER2-დადებითი ძუძუს კიბო, ვინაიდან ამ რეცეპტორის ჭარბი ექსპრესია, რომელიც ძუძუს კიბოს ქალთა დაახლოებით 20-25%-ს აღენიშნება ასოცირებულია დაავადების სწრაფ პროგრესირებასთან. ქვეპროგრამის მიზანია, ძუძუს კიბოს მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ზემოაღნიშნული მედიკამენტებით სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარების უზრუნველყოფის გზით, ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირთა სიცოცხლის გახანგრძლივება/განკურნება.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი: 06 01 08)

სიხშირის მიხედვით, ფსიქიკური აშლილობები საკმაოდ გავრცელებულია და უკანასკნელი მონაცემებით მოსახლეობის 9.1%-სა და 16.1% შორის მერყეობს. სიკვდილიანობის მხრივ, ამ მდგომარეობების წვლილი დაავადების ტვირთის წლებში 8.1%-ია. თემში არსებული ფსიქიატრიული დახმარების გუნდი თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში უპირველესია. საერთაშორისო კვლევებითაა დამტკიცებული თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისების ეფექტურობა. ქვეპროგრამა გულისხმობს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სათემო მომსახურების მიწოდების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ფსიქიკური ან/და ქცევითი აშლილობის მქონე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალაქეები. ქვეპროგრამის მიზანია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია (კოდი: 06 01 09)

ქვეპროგრამა გულისხმობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის „ნარკომანია" მეტადონის ჩანაცვლებითი თერაპიის კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციართა თანაგადახდის დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიერ ჩანაცვლებითი თერაპიის მიღების ხელშეწყობა, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება.

„ C " ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი: 06 01 12)

ქვეპროგრამა გულისხმობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის, ,, C " ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა", ფარგლებში დაფინანსებადი კვლევების თანადაფინანსების უზრუნველყოფას. აღნიშნული კვლევები მოიცავს, როგორც მკურნალობაში ჩართვამდე ჩასატარებელ სადიაგნოსიტიკო კვლევებს, ასევე მკურნალობის მონიტორინგის პროცესში აუცილებელად განსახორციელებელ კვლევებს. ქვეპროგრამის მიზანია: ბენეფიციართა მაქსიმალური რაოდენობისათვის C ჰეპატიტის დიაგნოსტიკაზე ხელმისწავდომობის უზრუნველყოფა, C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება.

ტრანსპლანტაცია (კოდი: 06 01 13)

ქვეპროგრამა გულისხმობს ონკოჰემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისათვის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის, ტრანსპლანტაციის წინა კვლევების, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისა და ტრანსპლანტაციის შემდგომ სტაციონარული მეთვალყურეობის დაფინანსებას. ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია ლეიკემიითა ან სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისათვის ხშირად გადარჩენის უალტერნატივო მეთოდს წარმოადგენს. ქვეპროგრამის მიზანია: ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინისა ტრანსპლანტაციას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათი სიცოცხლის დაცვა.

სოციალური დაცვა (კოდი: 06 02)

მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები. კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტირებულ ოჯახებს, ასევე, მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას გაეწევათ სხვადასხვა ტიპის დახმარებები. სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სოციალური საჭიროების

შესაბამისი სერვისების მიწოდება. განხორციელებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; ხანდაზმულთა, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ პირთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის ბენეფიციარების მოვლა-პატრონობა და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობები თავის მხრივ განახორციელებენ და დააფინანსებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებს.

კომუნალური სუბსიდირება (კოდი: 06 02 01)

ქალაქ თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახები მიიღებენ კომუნალურ სუბსიდიას. სუბსიდიის ოდენობა და დარიცხვის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02)

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. გაეროს ბავშვთა ფონდი მიერ ჩატარებული კვლევების შესაბამისად ბოლო წლებში მცირედ გაზრდილია სიღარიბე ბავშვიან ოჯახებში, აღნიშნული ოჯახების საკმაოდ დიდი ნაწილი ქ.თბილისში მცხოვრები ოჯახებია. აქედან გამომდინარე, მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ამოცანაა მათი სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ამ მიზნით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა“-ში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე განხორციელდება

ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 50 ლარის ოდენობით. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (კოდი: 06 02 03)

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული მრავალშვილიან ოჯახებს გაეწევათ მატერიალური დახმარების ყოველ მე-3, მე-4, მე-5 და შემდეგ ახალშობილზე. განხორციელდება ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა მე-3 ახალშობილზე - 800 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე - 1000 ლარის ოდენობით, მე-5 და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარის ოდენობით. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა (კოდი: 06 02 04; 06 02 04 01; 06 02 04 01)

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ შშმ პირები უმეტესად იმყოფებიან ჩაკეტილ გარემოში, შესაბამისად აღნიშნული ბენეფიციარები სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილ ბენეფიტებს იღებენ ინდივიდუალურად, აღნიშნული ბენეფიტები ნაკლებად ითვალისწინებენ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს, რაც ცუდად აისახება მათ ჯანმრთელობაზე და ქმნის ასევე მათი საზოგადოებისგან იზოლაციის წინაპირობას. ამ პრობლემის ნაწილობრივ მოგვარების მიზნით განხორციელებული იქნება პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდება შშმ პირების სხვადასხვა კურორტებზე დასვენება. აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის მიზნით განცხადებები მიიღება 2017 წლის 1 თებერვლიდან 15 აპრილის ჩათვლით. ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2017 წლის 15 აპრილის ჩათვლით ვერ მოხდება ნაკადების სრულად დაკომპლექტება. ნაკადების დაკომპლექტებისას პრიორიტეტი მიენიჭება ადრე შემოტანილ განცხადებას. პროგრამის მოსარგებლეებს საშუალება მიეცემათ ისარგებლონ ტენდერით გამოვლენილი მიმწოდებლების მომსახურებით ან ისარგებლონ ვაუჩერული სისტემით,

რომლის ფარგლებშიც თავად აირჩევენ მომსახურების მიმწოდებელს. ვაუჩერის ოდენობა და გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით. განცხადების და ვაუჩერის ფორმას ამტკიცებს ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური. საქართველოში, მათ შორის თბილისში არსებული სოციალ-ეკონომიკური მგომარეობის გამო ოჯახებს, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველებს, არ აქვს საშუალება საზაფხულო არდადეგების პერიოდში დაასვენონ ბავშვები. შეუცვალონ მათ საცხოვრებელი გარემო, რაც აუცილებელია ბავშვების ნორმალური განვითარებისთვის. ამდენად ძალზე აქტუალურია აღნიშნული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი საზაფხულო ბანაკების მოწყობა. ბანაკებში ჩატარდება შემეცნებით-გასართობი და სპორტული ღონისძიებები, საბავშვო შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები და საღამოები, ექსკურსიები, ლაშქრობები. ამ ბანაკების მიზანია ბავშვებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა ზაფხულის გარკვეულ პერიოდში, მათთვის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალების მიცემა, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება, თანატოლებთან მეტი ინტეგრაციის საშუალების მიცემა და აქტიური დასვენება. ბენეფიციარების შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს. ამასთანავე, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამის მომსახურე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი: 06 02 05)

ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმული მოქალაქეებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება (კოდი: 06 02 06; 06 02 06 01; 06 02 06 02; 06 02 06 03; 06 02 06 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული ოჯახებისათვის:

ა) 18 წლამდე ასაკის მოსწავლეების სწავლების ღირებულების ანაზღაურება მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლებში და "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში", მათ მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

ბ) 18 წლამდე ასაკის მოსწავლეების სწავლების ღირებულების ანაზღაურება ხელოვნების სკოლებში, სკოლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

გ) 18 წლამდე ასაკის ბავშვების სწავლების ღირებულების ანაზღაურება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, მათ მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აგრეთვე, მეტროთი და ავტოტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის უკონტაქტო პლასტიკური ბარათების შესყიდვა, ინიციალიზაცია, ბენეფიციარებისათვის პლასტიკური ბარათების გაცემის სერვისცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო მასალების შესყიდვა, სერვისცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღურება და სხვა ღონისძიებები.

ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი: 06 02 08)

ქვეპროგრამის ამოცანაა ამოცანაა სამიზნე ჯგუფის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეების თარჯიმან-დაქტილოლოგებით მომსახურება.

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი: 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებისა და სხვა სოციალური სერვისების საჭიროების შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერა.

ომის ვეტერანების დახმარება (კოდი: 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და ამ ომში მარჩენალდაკარგულებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა, მათი ღვაწლის დაფასების, თანადგომისა და მხარდაჭერის მიზნით.

საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი: 06 02 11)

ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფით მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება.

ღონისძიებები:

1. „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების საფუძველზე, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას - 0,5 ლარი, ხოლო საბაგირო გზით „რიყე-ნარილაყა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი- კუს ტბა“ გადაყვანისას - 1,0 ლარი) თანხების ანაზღაურება (მათ შორის შპს „თბილსერვის ჯგუფში“

დადგენილ კატეგორიას - ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს ორი მგზავრობის ანაზღაურება).

საქართველოს დედაქალაქის-თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში M3 კატეგორიის ავტობუსებით და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მრავალჯერადი გამოყენების სამგზავრო ბარათებით მოსარგებლე იმ მომხმარებელთათვის, რომლებიც სარგებლობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული ფასდაკლების სისტემით, ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის (0,5 ლარი) შესავსებად თანხის ანაზღაურება;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის იმ ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, (ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობის უფლებით), შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ფასის სრული ოდენობის შესავსებად, 50-%-ის ოდენობით თანხის ანაზღაურება (ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას გასნსაზღვრული 0,65 ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში, შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებისათვის: 1) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; 2) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედებების ზონაში; 3) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; 4) სამხედრო ძალების ვეტერანები; 5) მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა

ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები; 6) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები." მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი: 06 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება თბილისში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. დღის ცენტრის ტერიტორიაზე, დღის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება 145-მდე მარტოხელა ხანდაზმულის სხვადასხვა საგანმანათლებლო, გამოყენებით და გასართობ პროგრამებში მონაწილეობა.

უფასო სასადილოებით მომსახურება (კოდი: 06 02 14; 06 02 14 06; 06 02 14 07; 06 02 14 08; 06 02 14 09; 06 02 14 10; 06 02 14 11; 06 02 14 12; 06 02 14 13; 06 02 14 14; 06 02 14 15)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს რაიონში რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციართა რაოდენობის დაზუსტებას და უფასო კვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმღები ბენეფიციარებიი არიან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მყოფი სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს.

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები (კოდი: 06 02 15; 06 02 15 07; 06 02 15 08; 06 02 15 09; 06 02 15 10; 06 02 15 11; 06 02 15 12; 06 02 15 13; 06 02 15 14; 06 02 15 15; 06 02 15 16)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისათვის მაათი ოჯახების დახმარებას. განხორციელდება რაიონში მცხოვრებ მეომართა და გარდაცვლილ მეომართა ოჯახების საინფორმაციო ბაზის შექმნა, გარდაცვლილ მეომართა ოჯახებისათვის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია (კოდი: 06 02 16; 06 02 16 07; 06 02 16 08; 06 02 16 09; 06 02 16 10; 06 02 16 11; 06 02 16 12; 06 02 16 13; 06 02 16 14; 06 02 16 15; 06 02 16 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, სხვადასხვა მიზეზით (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემობების შედეგად) უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით (ბინის ქირის ასანაზღაურებლად კომპენსაცია). ქვეპროგრამის ფარგლებში კომპესაციის მიღების უფლება აქვთ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული დანგრეული ან სხვადასხვა გარემოების შედეგად საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლი (ამორტიზირებული ფართი) თუ პირი ამ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდა უშუალოდ მის ამორტიზებამდე, ამასთან მას და მისი ოჯახის წევრს არ გააჩნია სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი საკუთრებაში და მოცემული მომენტისათვის არ აქვს დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის ქირის გადახდის საშუალება. ასევე, უსახლკაროდ დარჩენილ პირებზე, რომლებმაც საცხოვრებელი სადგომი დაკარგეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. კომპესაცია გაიცემა პირთათვის აუცილებელი საცხოვრებელი ფართით დროებით სარგებლობისათვის საჭირო ქირის ან ქირის ნაწილის დაფარვის მიზნით.

ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში (კოდი: 06 02 17; 06 02 17 07; 06 02 17 08; 06 02 17 09; 06 02 17 10; 06 02 17 11; 06 02 17 12; 06 02 17 13; 06 02 17 14; 06 02 17 15; 06 02 17 16)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასებასა და მათ მორალურ მხარდაჭერას, ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასების მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას და მათ დახმარებას.

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 06 02 18 ; 06 02 18 07; 06 02 18 08; 06 02 18 09; 06 02 18 10; 06 02 18 11; 06 02 18 12; 06 02 18 13; 06 02 18 14; 06 02 18 15; 06 02 18 16)

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის რაიონში რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად დახმარების გაწევის, უმწეო და მძიმე საარსებო პირობებში მყოფ მოქალაქეთა საარსებო პირობების გაუმჯობესების, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარების, ასევე სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მოქალაქეებისათვის დახმარების გაცემა. დახმარება შეიძლება განხორციელდეს ფულადი დახმარება/შემწეობის ან პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით შეძენილი პროდუქტის/ნივთის გადაცემის გზით, მოქალაქეთა შემოსული განცხადებების საფუძველზე, შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსებით.

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში (კოდი: 06 02 20; 06 02 20 01; 06 02 20 03)

თბილისის შემოერთებულ ტერიტორიებზე წყალსადენის ქსელის მოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ქ.თბილისის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას და დახმარების გაცემის პირობებს დაადგენს ქ.თბილისის მთავრობა.

თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21)

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, თბილისში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც თავშესაფრის არქონის გამო უწევთ ქუჩაში ღამის გათევა. ამ მოქალაქეებისათვის პრობლემას წარმოადგენს, როგორც თავშესაფრის არქონა, ისე ყოველდღიური საკვებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის საჭირო მედიკამენტებისა თუ სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო თანხის მოპოვება. ქვეპროგრამის მიზანია, აღნიშნული მოქალაქეების თავშესაფრით უზრუნველყოფა, მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, პირველადი სამედიცინო მომსახურებითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა გათვალისწინებულია პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა ღონისძიებები.

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი: 06 02 22)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ ოჯახებში, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური დახმარება. თანხების ჩარიცხვა განხორციელდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ბაზის საფუძველზე, ბაზაში მითითებული ოჯახის უფლებამოსილი პირის ანგარიშზე. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 23)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სოციალურად დაუცველი დედებისა და მათი ოჯახების გაძლიერებისაკენ მიმართული დამხმარე სერვისების განვითარებას. დღის ცენტრი ერთდროულად გათვლილია სოციალურად დაუცველ 6 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედებისა და ორსულებისათვის საინფორმაციო–საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს მათი ცნობიერების ამაღლებას დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით. ცენტრში ბენეფიციარების ჩარიცხვა ხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების შეფასების და თბილისის მეურვეობა/მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი: 06 02 24)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის

მატერიალური დახმარება. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი: 06 02 25)

ქვეპროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ასევე აღნიშნული კატეგორიის ოჯახებში შობადების სტიმულირებისთვის მოხდება ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარების ჩარიცხვა. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 26)

უძლური ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ტერმინალურ მდგომარეობასა და ხანგრძლივად ან დროებით უძლურებაში მყოფი პირების ჯანმრთელობაზე ზრუნვა (პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მონიტორინგი), მათი დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ–ჩვევების შენარჩუნება/აღდგენა, რესურსებისა და უნარების გამოვლენა და ფსიქო–სოციალურ დახმარება, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს წარმოადგენენ.

ქვეპროგრამა გულისხმობს საჭიროების მქონე პირთა გამოვლენას ბართელის ინდექსის შესაბამისად, ასევე ბენეფიციართა პერსონალურ მოვლას, საექიმო და და საექთნო მომსახურებას, დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში (საყიდლები, ბინის დალაგება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა, საკვების მომზადება), სოციალურ-ტექნიკურ დახმარებას, მოვლისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფას.

პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს ქ. თბილისში, ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბართელის უძლურების ინდექსი არაუმეტეს 95-სა.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსარგებლეთა და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური მომსახურების მიწოდების გზით. ბართელის

შკალის შესაბამისად ინდექსის მინიჭების (ფორმის შევსების) ღირებულებაა 8 ლარი. პროგრამის განხორციელების წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი: 06 02 28)

ქვეპროგრამა გულისხმობს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერას სხვადასხვა საჭიროებებსა და აქტივობებში. კერძოდ: შშმ პირებში კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; შშმ პირთა განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა, ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და სხვა.

7. განათლება

საბავშვო ბაგა–ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს დედაქალაქის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. ურბანული კულტურის განვითარებასა და საერთაშორისო შემოქმედებით–საგანმანათლებლო პროცესებში აქტიურ ჩართვას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალურ ინტეგრაციას. ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა.

სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება (კოდი: 07 01)

პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება, სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამის სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგის დახვეწას, სტანდარტების შესაბამის კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შშმპ პირებზე ადაპტირება და სხვა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი: 07 01 02)

პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შშმპ პირებზე ადაპტირება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხავადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: დასრულდება ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა). 2017 წელს დაიწყება დამატებით 8 ახალი ბაღის მშენებლობა.

ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა (კოდი: 07 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის მომსახურება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ მედია სივრცესა და სოციალურ ქსელებში საინფორმაციო რგოლების განთავსება და კამპანიის წარმოება. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, შემეცნებითი ხასიათის პროექტების განხორციელება; ტრენინგები თვითმმართველობის მოხელეებისთვის და ქვეუწყებების წარმომადგენელთათვის.

ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა (კოდი: 07 02 01)

ქვეპროგრამის მიზანია სკოლის მოსწავლეებში დებატების, საჯარო გამოსვლების, პრეზენტაციის და ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება, განუვითარდებათ ანალიტიკური, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნება, სკოლებში დაინერგება დამატებითი პროგრამები და სერვისები რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეს ჩამოყალიბდეს როგორც აქტიური მოქლაქე, უკეთესად აითვისოს საგნები, შემეცნებითი კონკურსების მეშვეობით გაიღრმავოს ცოდნა, მოახდინოს საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, დაგეგმოს სწორად მომავალი კარიერა და განათლების შესაძლებლობებზე მიიღოს დამატებითი ინფორმაცია. გაიზრდება ეროვნულ და საერტაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეების რიცხვი, აგრეთვე ზოგადი განათლების ხარისხი გაიზრდება, სკოლაში მოსწავლე შეიძენს როგორც თეორიულ ცოდნას, აგრეთვე აუცილებელი უნარ-ჩვევებს. სკოლაში შეიქმნება დემოკრატიული გარემო რომელიც უზრუნველყოფს წარმატებული და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას. განვითარდება სასკოლო კლუბები და სკოლის თვითმმართველობები, გაიზრდება მათ საქმიანობაში ჩართული მოსწავლეთა რაოდენობა. ქვეპროგარმის განხორციელების შედეგად ჩამოყალიბდება თანამშრომლობა სკოლებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, მოძიებულ იქნება დამატებითი რესურსები სკოლის მოსწავლეების განვითარებისთვის.

საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი: 07 02 03)

ქვეპროგრამის მიზანია ქ.თბილისის მერიის საიტებსა და სერვერებზე ზედამხედველობა, Web-Design-ის შექმნა/განახლება დიზაინერთა ჯგუფის მიერ შექმნილი დიზაინის მიხედვით, ვებ რესურსების ჰაკერული თავდასხმებისგან დაცვის პოლიტიკის წარმოება და განახლება, ვებ გვერდების ოპტიმიზაცია პოპულარული ძებნის ძრავებისათვის (https://www.google.ge/?#q=თბილისი), სისტემური ადმინისტრირება, რუკები, GeoServer - ის კლასტერის მონიტორინგი. რუკის სერვერის ტუნინგი, ახალი სერვისების/ოფციების დამატება/მოდიფიცირება. ონლაინ გადახდების სისტემის გამართულად მუშაობის მონიტორინგი და ბანკებთან კომუნიკაცია, დედაქალაქის მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურების საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ვიდეო აუდიო რგოლების დამზადება, საინფორმაციო მასალის განთავსება თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე სხვა ელექტრონულ მედია საშუალებებში, შემეცნებითი ხასიათის პროექტების განხორციელება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გამგეობების დაქვეუწყების დაწესებულებების თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ბიზნეს ინკუბატორის (ფაბ-ლაბის) ფუნქციონირება და სხვა.

საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი: 07 02 04)

საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ, მედია-სივრცესა და სოციალურ ქსელებში საინფორმაციო რგოლების განთავსება და კამპანიის წარმოება, პოლიგრაფიული და სარეკლამო მასალები, თანმდევი მომსახურება-მონტაჟით და სხვა.

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (კოდი: 07 02 07)

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, სკოლები ვერ უზრუნველყოფენ შშმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოწყობას, გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს სკოლამდე მისვლის საკითხიც. შესაბამისად, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით პროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ მოსწავლეების ადაპტირებული

ტრანსპორტით უზრუნველყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფიზიკური გარემოს ხელისაწვდომობის ბარიერების მოხსნას და შშმ მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრირებას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შშმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული ტრანსპორტის შეძენა და შესაბამისი მომსახურების შეთავაზება. სკოლამდე გადაადგილების პრობლემის მოგვარება ხელს შეუწყობს მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 07 03)

თბილისის მთავარი ბიბილიოთეკის და თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია. მათ შორის: ბიბლიოთეკების თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით. ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გამართვა ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისათვის, რათა ბიბლიოთეკა და მედიათეკა აღიქმებოდეს ერთიან კულტურულ კერად.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 07 03 01)

თბილისის მთავარი ბიბილიოთეკის ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, მათ შორის: ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ახალი სერვისების დამკვიდრება. ბიბლიოთეკის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, ელექტრონული მართვის სისტემაზე გადასვლა; ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ფუნქციების განსაზღვრა: წიგნების მიმოქცევა/ცირკულაციის მართვა (ონლაინ დაჯავშნა, გამოწერა, გატანა-დაბრუნების აღრიცხვიანობა, გაფრთხილებებისა და დაჯარიმების სისტემა); ვებკატალოგი - მოძიება ავტორის, დასახელების, თემატიკის და სხვა პარამეტრის მიხედვით; კატალოგირებისა და წიგნების აღნუსხვის სისტემა; მომხმარებელთა აღნუსხვა და მათი ბაზების მართვა; სტატისტიკური ანალიზი (მაგალითად "ყველაზე რეიტინგული წიგნები", "გაცემული ლიტერატურა“ და სხვა.

თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი: 07 03 02)

თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია. მათ შორის: სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით. ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გამართვა ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისათვის, რათა მედიათეკა აღიქმებოდეს კულტურულ კერად. წარმოდგენილი მიზნების შესაბამისად, მედიათეკაში ხორციელდება შემდეგი პროგრამები: ა) საზაფხულო სკოლების პროგრამა 8-12 წლის ასაკის ბავშვთათვის; ბ) საკვირაო სკოლების პროგრამა უფროსკლასელთათვის; გ) მხატვრული კითხვის საათები უმცროსკლასელთათვის; დ) საგანმანათლებლო სპექტაკლების პროგრამა; ე) თანამედროვე ავტორებთან შეხვედრების პროგრამა; ვ) ლიტერატურული ონლაინ-ბლოგი; ზ) საგანმანათლებლო ვიდეო-გაკვეთილების ციკლი; თ) ბლოგი აქტუალურ უცხოენოვან სტატიებზე; ი) ლიტერატურული ანოტაციების პროგრამა; კ) საზოგადოებრივი შეხვედრების პროგრამა; ლ) ურბანული ჯგუფების ინიციატივათა წახალისების პროგრამა; მ) მუსიკის საათი; ნ) ინტერაქტიული ვებ-პლატფორმა; ო) წვდომა ქართულ და უცხოურ ონლაინ-ბიბლიოთეკებთან.

პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 07 04)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება საგანამანთლებლო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა, ზრდასრულთა განათლების სერვისების განვითარება დედაქალაქში და ზრდასრულთა განათლების ტრენერების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ხელშეწყობა და დედაქალაქისთვის პრიორიტეტული ახალი პროგრამების შექმნის წახალისება, თანამშრომლობისა და კოორდინაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სახელმწიფო, საგანმანათლებლო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი სამოქმედო გეგმის შექმნა პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების მიზნით. დედაქალაქში მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი სასწავლო პროგრამების და კურსების მხარდაჭერა, კერძო სექტორთან თანამშრომლობით პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება

დედაქალაქში მცხოვრებთათვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შემდგომი დასაქმების მიზნით, დასაქმების ფორუმების განხორციელება და დამსაქმებელთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება.

უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება (კოდი: 07 05)

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნისთვის მნიშნველოვანია ტრენინგების, კონსულტაციისა და სტაჟირების ერთიანი სისტემის დანერგვის გზით პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნა. იურიდიული კლინიკის ფარგლებში განხორციელდება მოქალაქეთა კონსულტაცია და სამართლშემოქმედების პროცესში პროგრამის მონაწილეთა ჩართვა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტაჟირების უზურნველყოფა და პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა.

უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 07 05 01)

ქვეპროგრამის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს დედაქალაქში განვითარდეს უწყვეტი განათლების სისტემა, შეიქმნას უწყვეტი განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განვითარდეს საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ცენტრები და მათი სერვისები გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, შეიქმნას დამატებითი სასწავლო და გადამზადების კურსები დედაქალაქის საჭიროებების და მოთხოვნების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმნათლებლო დაწესებულებებში განვითარდეს საკარიერო და საკონსულტაციო სერვისები სტუდენტებისთვის, პროგრამის ფარგლებში სტუდენტური კლუბების მხარდაჭერა და სტუდენტური ინიციატივების წახალისება, განხორციელდება საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ოლიმპიადები, კონკურსები და ჩემპიონატები სტუდენტების თვითრეალიზების ხელშეწყობისა და მათი უნარების განვითარების მიზნით. განხორციელდება საზაფხულო და ზამთრის სკოლები სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული კონტაქტების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით. უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ცენტრებთან თანამშრომლობით

განხორციელდება კურსდამთავრებულებისათვის ხელმისაწვდომი სასწავლო და გადამზადების კურსები მათი პროფესიის შესაბამისად, შემუშავდება შერჩევისა კრიტერიუმები და მათი შემდგომი დასაქმების მექნიზმები. ჩამოყალიბდება კერძო სექტორთან სათანადო თანამშრომლობა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საკარიერო სერვისების განვითარების მიზნით. დაფინანსდება წარჩინებული სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და კონკურსებში, სასწავლო პროგრამებში მონაწილოება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

იურიდიული კლინიკა (კოდი: 07 05 02)

პროგრამის მიზნებია: ქ.თბილისის მერიაში მოწინავე იურიდიული კლინიკის შექმნა და ფუნქციონირება; მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება იურიდიულ კლინიკაში მაგისტრანტი სტუდენტების პრაქტიკის გავლის მიზნით; იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებსა და ახლადდამთავრებულ იურისტებში პროფესიისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, მათი იურიდიულ კლინიკაში ჩართულობის მეშვეობით; მოსახლეობის ხელშეწყობა საკუთარი უფლებების სამართლებრივ დაცვასა და რეალიზაციაში; სამართლებრივი ხასიათის აქტუალური პრობლემატიკის სწრაფი იდენტიფიცირება; პრევენციული ხასითის ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობისათვის აქტუალურ პრობლემურ საკითხებზე.

სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (კოდი: 07 05 03)

ქვეპროგრამის მიზანია, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების დაუფლებაში ხელშეწყობა. დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებზე სწავლის ხარისხის ამაღლება და წარმატებული სტუდენტების წახალისება, მაღალი კვალიფიკაციის კადრების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; დასახული მიზნის მიღწევისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში შემდეგი საქმიანობები განხორციელდება: 1) სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფარვა 100%, 70% და 50%-ის ფარგლებში (სახელმწიფოს მიერ აღიარებული

გრანტის ფარგლებში), საჭიროებების შესაბამისად; 2) თბილისში რეგისტრირებული წარმატებული მაგისტრანტებისთვის სტიპენდიების გაცემა 3) ჩამოყალიბდება დედაქალაქისათვის პრიორიტეტული მიმართულებები არსებული საჭიროებების გათვალისწინებით 4) შეიქმნება საკითხის გადაწყვეტის გამჭვირვალე სამართლიანი მექანიზმები და პროცედურები (თანადაფინანსების კომპონენტის წახალისება, სწავლის ხარისხის ამაღლების სტიმულირება და სხვა); 5) მოხდება სტუდენტების ანგარიშვალდებულების სისტემის ფორმირება, ეფექტური უკუკავშირის მექანიზმის შექმნა და ქვეპროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგების ანალიზი.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (კოდი 07 06)

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა დ სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, სასახლის მიერ მართვის ფუნქციების განსახორცილებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, შენობა/ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების რემონტის ხარჯები და სხვა.

8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; თბილისის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა; კულტურის დაწესებულებებში შშმ პირებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობა, სახანძრო

უსაფრთხოების სისტემის მოწყობა; საბალეტო ხელოვნებაში არსებული მოდერნული ტენდენციების დამკვიდრება და განვითარება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია თბილისის ყველა უბანში.

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 01; 08 01 01; 08 01 02; 08 01 03; 08 01 05; 08 01 07; 08 01 08)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრების (ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, თეატრი ,,გლობუსი", "სამეფო უბნის თეატრი") სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რეპერტუარის განახლების, სადადგმო, ტექნიკური აღჭურვილობის და სხვა ხარჯების დაფარვა; თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ხელშეწყობა.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი: 08 02)

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საგუნდო და მუსიკალური საკრავები - სასულე და სიმფონიური ორკესტრების - ვიოლინო, ვიოლენჩელო, ჩელო, კონტრაბასი, არფა, ფლეიტა, კლარნეტი, ვალტორნა, საქსაფონი, საყვირი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ტრომბონი და სხვა) შენარჩუნების მიზნით:

ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის #19 ხელოვნების სკოლაში - საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით მოსწავლეთა უფასო სწავლება;

შოთა შანიძის სახელობის #20 ხელოვნების სკოლაში - საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით მოსწავლეთა უფასო სწავლება;

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #28 ხელოვნების სკოლაში - ქართული ხალხური საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე მოსწავლეთა უფასო სწავლება;

ჰამლეტ გონაშვილის სახელობის #29 ხელოვნების სკოლაში - თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობის განხრით მოსწავლეთა უფასო სწავლება;

ალიოზ მიზანდარის სახელობის #1 ხელოვნების სკოლის საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე (ბიჭუნათა კაპელა) მოსწავლეთა უფასო სწავლება;

თბილისის ხელოვნების სკოლების დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად;

ხელოვნების სკოლების მოსწავლეების და მასწავლებლების ყოველწლიური საიუბილეო და საანგარიშო შემოქმედებითი კონცერტებისა და გამოფენების მოსაწყობად (შემოქმედებითი აქტივობები/ პროექტები/ პროგრამები) დარბაზის იჯარა;

ხელოვნების სკოლების და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისთვის კომუნალური და ინტერნეტ მომსახურების დაფარვა;

ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავება, ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები, კონფერენციები, სასწავლო ტურები, სახელოვნებო სკოლების დათვალიერება-ფესტივალი და სხვა ღონისძიებები;

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია (კოდი: 08 03; 08 03 10; 08 03 12)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეას და მუზეუმების გაერთიანების მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; მუზეუმების პოპულარიზაციის და განვითარების ხელშემწყობი პროექტების მხარდაჭერა: მუნიციპალური მუზეუმების გიდი - ვიდეორგოლები, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმების საქმიანობის განვითარებას, მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და პოპულარიზაციას და სხვა ღონისძიებები.

ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა (კოდი 08 03 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ე.ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეას ფუნქციონირების ხელშეწყობა. ე.ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა არის კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მიზანი და ამოცანაა ბავშვთა და მოზარდთა მხატვრულ -ესთეტიკური აღზრდა სახვითი ხელოვნებით, ხელშეწყობა მათი ზოგადი განათლებისა და თვალსაწიერის გაფართოებისა და მხატვრული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. ქალაქისა და ზოგადად ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოებისა და განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობით მოხდება ბავშვთა სურათების გალერეის საქმიანობის პოპულარიზაცია, ნიჭიერი ხელოვანი ბავშვების აღმოჩენა, წარმოჩენა და მათი ნიჭის განვითარებისათვის ხელისშეწყობა. ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აქტიური ჩართვა გალერეის ღონისძიებებში საზოგადოებაში მათი ინტეგრირების მიზნით.

მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი: 08 03 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუზეუმების გაერთიანების ფუნქციონირების ხელშეწყობა. დაგეგმილია სამუზეუმო გაერთიანების მიზნების შესაბამისად გაერთიანების ინსტიტუციურ ფორმად ჩამოყალიბება, ახალი საგამოფენო კონცეფციებისა და ექსპოზიციების მომზადება, გაერთიანების ერთიანი საგამოფენო სტრატეგიის შექმნა, საინფორმაციო ბაზებისა და სამეცნიერო მიმართულებების მომზადება, ფონდებში დაცული მასალების მეცნიერული დამუშავება და ამის საფუძველზე გამოსაცემად მომზადება სამეცნიერო სტატიების, ანგარიშების, კატალოგების, შრომების, გამოფენის მეგზურების და ბუკლეტების; მოეწყობა სტაციონალური ექსპოზიციები, მოძრავი გამოფენები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, მოხდება მისი პერიოდული რეექსპოზიცია, სხვადასხვა სახეობის ფონდების სისტემატური შევსება, კოლექციების და ცალკეული საგნების სახელმწიფო დაწესებულებებისგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან, აგრეთვე კერძო პირებისგან მიღება შესყიდვით და შემოწირულობით; თოჯინური ხელოვნების პოპულარიზაცია; შეაგროვოს და დაიცვას საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული, მაღალმხატვრული ღირებულების თოჯინები, მოძრავ-მექანიზებული სათამაშოები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ახალი მოდელები, შეისწავლოს და გამოაქვეყნოს შედეგები და სხვა.

ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება (კოდი: 08 04)

თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საკონცერტო ორკესტრის "ბიგ-ბენდი" ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ხელშეწყობა, ქართული ფოლკლორის დარგების შესწავლა და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; თბილისის პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე, ხოჯევანქი) მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია - მისი როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება და კულტურულ ტურიზმში ჩართვა, მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ტექნიკური აღჭურვა, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც გულისხმობს არსებული და მშენებარე კულტურის ობიექტების ადაპტაციას მათ საჭიროებებთან, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა და სხვა.

საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი" (კოდი: 08 04 01)

ქვეპროგრამის მიზანია საკონცერტო ორკესტრის "ბიგ-ბენდი" ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" ერთადერთი ორკესტრია საქართველოში, რომელსაც აკისრია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყანაში საესტრადო ხელოვნების განვითარებისათვის, აგრეთვე ემსახურება ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა გამოვლენასა და მათ აქტიურ ჩაბმას საკონცერტო საქმიანობაში.

ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (კოდი 08 04 02)

ქვეპროგრამის მიზანია ქართული ფოლკლორის შესწავლა და პოპულარიზაცია. სასახლეში შექმნილია ქართული ხალხური შემოქმედების სხვადასხვა სფეროს შემსწავლელი წრეები, ქართული ხალხური ფოლკლორული განათლების სრულყოფა - განვითარებისთვის; ხალხური სიმღერების, ცეკვების, ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშების ათვისება; ახალგაზრდა თაობისათვის ფოლკლორული განათლების მიღება, ქართული ხასიათის, ადათ-წესების შესწავლა, რათა შენარჩუნებული იქნას ქართული სულის თვითმყოფადობა; ფოლკლორული ფესტივალების ჩატარება, ქართველი გამოჩენილი ფოლკლორისტების მოწვევა, ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მიღება და სხვა.

ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი: 08 04 03)

პანთეონები წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს და ასახავს ქვეყნის უახლეს ისტორიას, რამეთუ იქ დაკრძალულნი არიან საქართველოს ისტორიაში შესული პიროვნებები, განხორციელდება პანთეონების პოპულარიზაცია - მისი როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება და კულტურულ ტურიზმში ჩართვა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თბილისის პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე, ხოჯევანქი) მოვლა - პატრონობა, საფლავების დასუფთავება, გამწვანების მოვლა-განახლება.

კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი: 08 04 04)

კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ხელს უწყობს პერსონალის შრომისუნარიანობისა და დაწესებულებების მოსწავლეთა შემოქმედებით ზრდას, დაგეგმილია კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების (ხელოვნების სკოლები, მუზეუმები, თეატრები) შენობა - ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, ინვენტარის ინსტრუმენტებისა და ტექნიკის შეძენა, შშმ პირებისათვის ადაპტირებული სივრცის მოწყობა, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

კულტურის ღონისძიებები (კოდი: 08 05)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება; ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას; თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას; თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას და შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობას; სხვადასხვა

სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორიცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობა და სხვა ღონისძიებები.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 06)

თბილისში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);

სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ და თბილისის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;

სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის;

სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა, სკვერებში გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა.

სპორტული ღონისძიებები (კოდი: 08 06 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის

სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე თბილისის ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა.

მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება, ფედერაციების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა.

სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული და თბილისის ფედერაციების, წყალბურთის და ჭადრაკის ხელშეწყობა. სპორტის სხვადასხვა სახეობის თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა და სხვა.

მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი: 08 06 02)

ქვეპროგრამის ფარგელებში გათვალისწინებულია ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა ფინანსური მხარდაჭერა. ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა მატერიალური წახალისება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, გაზრდის მათ დაინტერესებას სასწავლო-საწვრთნო პროცესის ჩატარების მიმართ და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საშეჯიბრო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქის სპორტის სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელ-მასწავლებლების მიერ პერსპექტიული მოზარდებისა და ახალგაზრდების მოძიებას, მათ ჩაბმას სპორტულ ჯგუფებში და მაღალი შედეგების მიღწევას.

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი: 08 06 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სპორტული მოედნების მშენებლობა, ძველი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, რემონტი, ქ. თბილისის სკვერებში გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა, ველო პარკინგის მოწყობა და სხვა.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი: 08 06 04)

ქვეპროგრამა შექმნილია თბილისში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, რომელშიც საუკეთესო სავარჯიშო პირობები ექნებათ დამწყებ და პროფესიონალ სპორტსმენებს. ამასთან, ყალიბდება საუკეთესო პირობების მქონე სპორტული ინფრასტრუქტურა ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების ჩატარებისათვის. სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა, ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობებში სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების უკეთეს პირობებში ჩატარებას, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, სპორტული ობიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც, შესაბამისად, დადებითად აისახება სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული სპორტული ცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა და მიმდინარე რეაბილიტაციის სხვა ღონისძიებები. ასევე გათვალისწინებულია გლდანის მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ სარაგბო სპორტული კომპლექსის და სტადიონის მშენებლობის დასრულება და სხვა.

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი: 08 06 05)

სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოასპარეზე 18 წლამდე ასაკის პერსპექტიული სპორტსმენების ფინანსური წახალისება, რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასების გათამაშებებში და საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.

პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 06 06)

ქვეპროგრამის მიზანია: შშმ პირთა საზოგადოებაში და საერთაშორისო პარასპორტულ სამყაროში ინტეგრაცია, რესოციალიზაციაში დახმარება; თბილისში პარასპორტის

სხვადასხვა სახეობის განვითარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია შშმ პირებს შორის; დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ჩართვა პარასპორტულ ღონისძიებებში და რესოციალიზაციის პროცესში მათი დახმარება. სასპონსორო და საგრანტო დაფინანსების მოპოვება; თბილისელი პარასპორტსმენების მონაწილეობის უნზრუნველყოფა საერთაშორისო პარასპორტულ ტურნირებში; კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების და მენეჯერების მოზიდვა კონკურენტუნარიანი სპორტსმენების აღსაზრდელად. პროგრამას ფარგლებში ხორციელდება ინტენსიური საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი პარაფარიკაობაში, პარამშვილდოსნობაში, პარაჩოგბურთში, პარამაგიდის ჩოგბურთში, ამპუტანტთა ფეხბურთში, პარამკლავჭიდში უსინათლოთა ფეხბურთში, ბოდიბილდინგში, ბოჩაში, ძიუდოში, კალათბურთში და წოლჭიმში. პარასპორტის ცენტრის მიზანია დამატებით სხვა პარასპორტული სახეობების განვითარება, შესაბამისად მოხდება მრავალი შშმ პირის მოზიდვა მათი რესოციალიზაციის მიზნით.

ახალგაზრდული ღონისძიებები (კოდი: 08 08)

პროგრამა შექმნილია თბილისში, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და გარემოს შექმნის მიზნით, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდული ბანაკები; ახალგაზრდული ცენტრების ბაზაზე ჩატარდება, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ახალგაზრდული ღონისძიებები; ახალგაზრდებისთვის განხორციელდება გასართობი, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ან/და მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა.

ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი: 08 08 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ახალგაზრდებისთვის გასართობ, შემეცნებით, მასობრივი სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ჩატარდება შემეცნებით - საგანმანათლებლო პრაქტიკული ტურები; ხელოვანების წახალისებისა და დედაქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდება გრაფიტის ფესტივალი; ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებული თანამშრომლობის გაღრმავება და საკორდინაციო შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება, დედაქალაქის მაშტაბით სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა, კვლევების საფუძველზე დედაქალაქის ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა; დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდული ბანაკები, სადაც ახალგაზრდები ჩაერთვებიან საგანმანათლებლო, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში. ასევე, გათვალისწინებულია ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის" ფუნქციონირების ხელშეწყობა, ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა, როგორც უშუალოდ სამსახურის მიერ ორგანიზებული, ასევე, სამსახურის მიერ დაფინანსებული პროექტებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად და სხვა.

თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი: 08 08 02)

ქვეპროგრამის ფარლებში განხორციელდება: მოხალისთა ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს მოხალისეთა რეგულარული დატრენინგებას, ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნას, საინფორმაციო კამპანიას; მოხალისეთა ლოკალური ჯგუფების ფორმირებას; მოხალისეთა ჩართვას საერთაშორისო მოხალისეთა ბანაკებში. ინტელექტუალური თამაშების ორგანიზებით, გამწვანების აქციებით, სოციალური ტურებით. ქვეპროგრამის სტრატეგიული მიმართულებაა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და საერთაშორისო დონეზე ქსელური მუშაობის წახალისება, სასწავლო ვიზიტების ორგანიზება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. პროგრამის ერთ-ერთი სტრატეგიული ნაწილია ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა - დედაქალაქში რეგისტრირებული და საინიციატივო ჯგუფების სახით არსებული

ახალგაზრდული გაერთიანებების ელექტრონული ბაზის შექმნა, ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარებისკენ და მენეჯმენტის გაძლიერებისკენ მიმართული სასწავლო კურსები (გრძელვადიანი გრანტის მოპოვება, პროექტის წერა, დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება და ა.შ.). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ევროპის ახალგაზრდული დედაქალაქის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების გავლას - ახალგაზრდების ჩართულობის სტრატეგიის მომზადებას, საინფორმაციო კამპანიის განხორციელებას, ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას ევროინტეგრაციის პროცესებში, რაც მოიცავს ახალგაზრდების ინფორმირებას ევროინტეგრაციის პროცესებით მოსალოდნელი დადებითი შედეგების შესახებ და აქტიურ პიარ-კამპანიას. პროგრამა მოიცავს ინოვაციურ პროექტს-"მერიასთან ერთად", ეს არის ინტერაქტიული პროგრამა, რომელიც ახალგაზრდებს აერთიანებს საერთო იდეების გარშემო და აძლევს მათ ამ იდეის განხორციელების საშუალებას. პროგრამის მართვა მოხდება სპეციალურად შექმნილი ელექტრონული გვერდის მეშვეობით. პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებასა და თავისუფალი დროის ეფექტურ გამოყენებას. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა შეარჩიონ მათთვის სასურველი პროექტი, დაგეგმონ მათთვის საინტერესო აქტივობა და განახორციელონ მერიასთან ერთად.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 09)

პროგრამის მიზანია თბილისის, როგორც კულტურის რეგიონული ცენტრის პოპულარიზაცია - ლოკალურ და საერთაშორისო ინიციატივებში ჩართვის, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებთან კულტურის საკითხებში თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის შემუშავებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების გზით. პროგრამა ხელს შეუწყობს თბილისის, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქალაქის სახელის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ, კულტურული ღირებულების ექსპორტსა და კულტურული ტურიზმის განვითარებას. დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია - საერთაშორისო მნიშვნელობის ფესტივალების მოწყობა, უცხოეთში კულტურული ღირებულების ექსპორტის გზით ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ქართული ტრადიციული და თანამედროვე კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითრების ხელშეწყობა;

2. წიგნების საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობების მოწყობა, კულინარიის ფესტივალის განხორციელება, სადაც წარმოდგენილი იქნება ამიერკავკასიის ქვეყნების სამზარეულო და ფოლკლორი;

3. თბილისთან დამეგობრებული და სხვა უცხოური ქალაქების მონაწილეობით ხელოვნების სფეროში მასტერკლასების გამართვა;

4. კლასიკური ქართული ლიტერატურის, ფოლკლორის, ზეპირსიტყვიერები, ქართული ტრადიციული წეს-ჩვეულებების თემატიკაზე კონკურსებისა და სემინარების ჩატარების ხელშეწყობა;

6. კულტური სფეროს განვითარების ხელშემწყობი სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 08 11; 08 11 01; 08 11 02; 08 11 03; 08 11 04; 08 11 05; 08 11 06; 08 11 07; 08 11 08; 08 11 09; 08 11 10;)

პროგრამის მიზანია რაიონის ტერიტორიის ფარგლებში ეროვნული თუ ადგილობრივი დღესასწაულების ორგანიზება და სხვადასხვა სპორტულ-კულტურული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა. სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების გამართვით მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ტურნირების და შეჯიბრებების და საუბნო ჩემპიონატების ორგანიზება. შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების, ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა შემოქმედებითი საღამოების მოწყობა და სხვა.

თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი: 08 12)

პროგრამის მიზანია თანამედროვე ქართული ცეკვის/ბალეტის მრავალფეროვანი მიმართულებების დანერგვა, თბილისის როგორც რეგიონის კულტურის ცენტრის პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო პროექტების და მასტერკლასების განხორციელება, საერთაშორისო კავშირების დამყარება, მსოფლიოში მოღვაწე თანამედროვე ქორეოგრაფების მოწვევა და მათ მიერ საბალეტო დასში დადგმების განხორციელება და სხვა.

ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი: 08 13)

ინკლუზიური ხელოვნების განვითარება (სახვითი ხელოვნება, ფოტოგრაფია, ინკლუზიური თეატრალური პროექტების, და ა.შ) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შშმ პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და მათთან საზოგადოების თითოეული წევრის ყველაზე სასურველი ფორმით დაახლოებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ინკლუზიური ხელოვნების მეთოდოლოგიის შემუშავება; ინკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინტეგრირებული ღონისძიებების/შემოქმედებითი საღამოების ფესტივალების განხორციელება და სხვა.

9. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ცხოველთა მონიტორინგი (კოდი: 09 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის დაცვა საშიში, აგრესიული ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან, ჰუმანური წესით მათი დაჭერა და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია; ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლი; ცხოველთა ტრანსპორტირება და მიღება-განთავსება შესაბამის მუნიციპალურ ან კერძო თავშესაფარში; საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინალური ღონისძიებების განხორციელება-გამოყენება; დისლოკაციის ადგილზე სწრაფი რეაგირების დანაყოფების 24-საათიანი მორიგეობისა და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა ეპიზოოტიების, გარეულ ცხოველთა და ქვეწარმავლების შემოსევისა და სხვა მსგავს სიტუაციებზე (შემდგომში - საგანგებო სიტუაციები) რეაგირებისათვის; ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების (ვეტერინალური, სანიტარული, უსაფრთხოების, ტექნიკური და სხვა) უზრუნველყოფა.

10. ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირების აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების

დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს. მათ შორის:

იაპონური არასაპროექტო გრანტის მომსახურება (კოდი 10 24) სესხის სახით ათვისებულია 3,204.4 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა ფირმა Schafer-ის 4191 ცალი 1110 ლიტრიანი საყოფაცხოვრებო ნარჩენის მოთუთიებული კონტეინერის შეძენა. სესხის სრული დაფარვა დამთავრდება 2017 წლის ივლისისათვის.

მუნიციპალური ბანკის განვითარების სესხის მომსახურება (კოდი 10 41) სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმდა სასესხო ხელშეკრულებები კაპიტალური ინვესტიციების დასაფინანსებლად, კერძოდ საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით. მათ შორის: გრძელვადიანი 15,000.0 ათასი ლარის ოდენობით (5 წლის ვადით), ხოლო მოკლევადიანი - 3,000.0 ათასი ლარის ოდენობით (1 წლის ვადით). საპროცენტო სარგებელი შეადგენს 10.5 %-ს.

ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი 10 42)

პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტს საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 11 მაისის ხელშეკრულებებით. პროექტის ფარგლებში ხორციელდება თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ 143 ევროპული სტანდარტების მქონე, ბუნებრივ გაზზე მომუშავე ავტობუსის ეტაპობრივი შეძენა, რომლის შედეგად მოხდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის (euro 6) ადაპტირებული ავტობუსებით.

თავი VI

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები
პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები
თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
	სულ ბიუჯეტის ასიგნებები	**935 780,7**	**847 926,0**	**801 302,0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3 919	5 731	5 682
	ხარჯები	632 766,0	635 981,6	563 591,3
	შრომის ანაზღაურება	42 343,5	96 900,3	87 670,2
	საქონელი და მომსახურება	114 269,6	135 616,8	126 964,4
	პროცენტი	286,9	1 893,1	1 823,4
	სუბსიდიები	159 302,2	85 637,9	83 956,7
	გრანტები	23 983,2	931,5	29,5
	სოციალური უზრუნველყოფა	180 764,0	177 013,3	146 574,3
	სხვა ხარჯები	111 816,6	137 988,6	116 572,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	216 380,4	124 248,0	128 014,8
	ფინანსური აქტივების ზრდა	67 898,3	78 638,8	103 283,4
	ვალდებულებების კლება	18 735,9	9 057,6	6 412,5
1	**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა**	**103 718,3**	**118 215,2**	**149 690,4**
	ხარჯები	41 688,2	48 144,7	48 807,8
	საქონელი და მომსახურება	36 271,5	38 772,0	36 340,4
	სხვა ხარჯები	5 416,7	9 372,7	12 467,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	51 991,0	54 837,7	48 221,6
	ფინანსური აქტივების ზრდა	7 016,2	14 947,3	52 283,4
	ვალდებულებების კლება	3 022,9	285,5	377,5
01 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება**	**78 153,5**	**85 467,9**	**85 477,0**
	ხარჯები	35 423,4	39 041,5	39 687,8
	საქონელი და მომსახურება	30 006,7	29 668,8	27 220,4
	სხვა ხარჯები	5 416,7	9 372,7	12 467,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	41 147,8	46 140,9	45 411,6

	ვალდებულებების კლება	1 582,3	285,5	377,5
01 01 01	**გზების მშენებლობა და აღდგენა**	**39 482,2**	**44 139,6**	**44 500,0**
	ხარჯები	7 555,9	7 200,0	10 500,0
	საქონელი და მომსახურება	7 555,9	7 200,0	10 500,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	31 238,4	36 739,6	33 730,0
	ვალდებულებების კლება	687,9	200,0	270,0
01 01 08	**გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში**	**4 100,0**	**4 950,0**	**5 042,3**
	ხარჯები	3 129,9	4 257,0	2 036,3
	საქონელი და მომსახურება	3 129,9	4 257,0	100,0
	სხვა ხარჯები	-	-	1 936,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	788,0	693,0	3 005,9
	ვალდებულებების კლება	182,1		
01 01 09	**გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში**	**5 556,3**	**3 567,0**	**4 000,0**
	ხარჯები	1 717,9	743,3	1 619,8
	საქონელი და მომსახურება	1 717,9	743,3	1 619,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 810,7	2 823,7	2 380,2
	ვალდებულებების კლება	27,7		
01 01 10	**გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში**	**3 506,4**	**4 069,0**	**3 500,0**
	ხარჯები	3 187,4	4 069,0	3 500,0
	საქონელი და მომსახურება	3 187,4	1 329,5	3 089,3
	სხვა ხარჯები	-	2 739,5	410,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	19,5	-	-
	ვალდებულებების კლება	299,5		
01 01 11	**გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში**	**2 000,0**	**3 015,0**	**3 350,0**
	ხარჯები	2 000,0	3 015,0	3 350,0
	საქონელი და მომსახურება	2 000,0	3 015,0	3 213,6
	სხვა ხარჯები	-	-	136,4
01 01 12	**გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში**	**3 893,9**	**4 500,0**	**4 600,0**
	ხარჯები	3 893,9	4 500,0	4 600,0

	საქონელი და მომსახურება	3 893,9	4 500,0	4 600,0
01 01 13	**გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში**	**5 129,6**	**4 573,3**	**4 500,0**
	ხარჯები	1 784,0	1 748,2	3 154,4
	საქონელი და მომსახურება	-	-	75,0
	სხვა ხარჯები	1 784,0	1 748,2	3 079,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 324,0	2 739,6	1 238,1
	ვალდებულებების კლება	21,6	85,5	107,5
01 01 14	**გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში**	**3 298,7**	**4 243,0**	**4 484,7**
	ხარჯები	3 062,1	4 243,0	4 484,7
	საქონელი და მომსახურება	3 062,1	4 243,0	1 014,3
	სხვა ხარჯები	-	-	3 470,4
	ვალდებულებების კლება	236,6		
01 01 15	**გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში**	**5 387,0**	**5 920,0**	**5 000,0**
	ხარჯები	5 329,1	5 920,0	3 464,2
	საქონელი და მომსახურება	1 696,4	1 035,0	30,0
	სხვა ხარჯები	3 632,7	4 885,0	3 434,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	1 535,8
	ვალდებულებების კლება	57,9		
01 01 16	**გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში**	**2 051,4**	**2 191,0**	**2 500,0**
	ხარჯები	2 033,2	2 191,0	2 500,0
	საქონელი და მომსახურება	2 033,2	2 191,0	2 500,0
	ვალდებულებების კლება	18,3		
01 01 17	**გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში**	**3 748,0**	**4 300,0**	**4 000,0**
	ხარჯები	1 730,0	1 155,0	478,4
	საქონელი და მომსახურება	1 730,0	1 155,0	478,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 967,2	3 145,0	3 521,6
	ვალდებულებების კლება	50,8		
01 02	**ტრანსპორტის განვითარება**	**25 564,7**	**32 747,3**	**64 213,4**

	ხარჯები	6 264,8	9 103,2	9 120,0
	საქონელი და მომსახურება	6 264,8	9 103,2	9 120,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10 843,2	8 696,8	2 810,0
	ფინანსური აქტივების ზრდა	7 016,2	14 947,3	52 283,4
	ვალდებულებების კლება	1 440,5	-	-
01 02 01	**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები**	**12 280,0**	**10 447,3**	**20 753,0**
	ხარჯები	3 211,4	5 203,2	5 120,0
	საქონელი და მომსახურება	3 211,4	5 203,2	5 120,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 228,1	2 646,8	2 810,0
	ფინანსური აქტივების ზრდა	5 399,9	2 597,3	12 823,0
	ვალდებულებების კლება	1 440,5		
01 02 02	**საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია**	**-**	**7 500,0**	**20 853,4**
	ფინანსური აქტივების ზრდა		7 500,0	20 853,4
01 02 03	**მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა**	**-**	**2 000,0**	**10 588,0**
	ფინანსური აქტივების ზრდა		2 000,0	10 588,0
01 02 04	**ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება**	**3 053,4**	**3 900,0**	**4 000,0**
	ხარჯები	3 053,4	3 900,0	4 000,0
	საქონელი და მომსახურება	3 053,4	3 900,0	4 000,0
01 02 05	**სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია**	**1 616,3**	**2 850,0**	**-**
	ფინანსური აქტივების ზრდა	1 616,3	2 850,0	
01 02 06	**დიღმის ჭალების ინფრასტრუქტურის მოწყობა**	**8 615,1**	**-**	**-**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8 615,1	-	-
01 02 08	**საბაგირო ტრანსპორტის განვითარება**	**-**	**6 050,0**	**8 019,0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	6 050,0	-
	ფინანსური აქტივების ზრდა			8 019,0
2	**ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება**	**175 950,7**	**181 631,7**	**153 345,9**

	მომუშავეთა რიცხოვნობა	-	151	151
	ხარჯები	104 287,7	134 946,2	102 260,9
	შრომის ანაზღაურება	-	4 827,6	4 187,8
	საქონელი და მომსახურება	43 978,6	50 195,2	39 841,4
	სუბსიდიები	7 038,9	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	169,6	-	15,0
	სხვა ხარჯები	53 100,6	79 923,4	58 216,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	64 613,6	42 500,8	49 625,7
	ფინანსური აქტივების ზრდა	5 521,4	3 700,0	-
	ვალდებულებების კლება	1 528,0	484,8	1 459,3
02 01	**საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია**	**18 212,0**	**26 643,4**	**24 064,2**
	ხარჯები	676,2	3 400,0	1 800,0
	საქონელი და მომსახურება	615,0	3 400,0	1 800,0
	სხვა ხარჯები	61,2	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17 201,6	23 043,4	22 051,2
	ვალდებულებების კლება	334,2	200,0	213,0
02 02	**ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება**	**17 803,0**	**22 752,0**	**22 019,0**
	ხარჯები	17 783,9	22 552,0	21 947,0
	საქონელი და მომსახურება	-	-	300,0
	სხვა ხარჯები	17 783,9	22 552,0	21 647,0
	ვალდებულებების კლება	19,1	200,0	72,0
02 03	**საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები**	**6 746,0**	**7 329,2**	**6 641,8**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	-	93,0	93,0
	ხარჯები	5 016,3	6 302,9	4 734,3
	შრომის ანაზღაურება	-	2 657,4	2 293,1

	საქონელი და მომსახურება	202,5	2 815,5	1 992,9
	სუბსიდიები	3 792,9	-	-
	სხვა ხარჯები	1 020,9	830,0	448,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 682,2	1 026,3	1 907,5
	ვალდებულებების კლება	47,6	-	-
02 03 01	**საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები**	**1 723,3**	**2 050,0**	**2 000,0**
	ხარჯები	1 223,4	1 200,0	380,0
	საქონელი და მომსახურება	202,5	650,0	-
	სხვა ხარჯები	1 020,9	550,0	380,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	452,3	850,0	1 620,0
	ვალდებულებების კლება	47,6		
02 03 02	**სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები**	**5 022,7**	**5 279,2**	**4 641,8**
	მომუშავეთა რიცხოვნობა		93	93
	ხარჯები	3 792,9	5 102,9	4 354,3
	შრომის ანაზღაურება	-	2 657,4	2 293,1
	საქონელი და მომსახურება	-	2 165,5	1 992,9
	სუბსიდიები	3 792,9		
	სხვა ხარჯები	-	280,0	68,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 229,9	176,3	287,5
02 05	**გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია**	**23 008,4**	**22 513,0**	**21 234,0**
	ხარჯები	18 174,0	17 600,0	18 194,0
	საქონელი და მომსახურება	17 862,8	17 600,0	18 194,0
	სხვა ხარჯები	311,3	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	1 213,0	2 000,0
	ფინანსური აქტივების ზრდა	4 704,4	3 700,0	
	ვალდებულებების კლება	130,0		1 040,0

02 06	სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა	**2 391,3**	**2 200,0**	**2 500,0**
	ხარჯები	2 391,3	2 200,0	2 500,0
	საქონელი და მომსახურება	2 391,3	2 200,0	2 500,0
02 07	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	**2 018,8**	**4 900,0**	**4 980,7**
	ხარჯები	1 589,9	4 100,0	4 480,7
	საქონელი და მომსახურება	1 566,0	4 100,0	4 480,7
	სხვა ხარჯები	23,9	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	428,9	800,0	500,0
02 08	მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები	**1 067,7**	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	158,4	-	-
	ფინანსური აქტივების ზრდა	817,0		
	ვალდებულებების კლება	92,4		
02 09	კეთილმოწყობის ღონისძიებები	**35 938,3**	**37 140,0**	**40 327,3**
	ხარჯები	22 608,6	22 060,5	18 556,5
	საქონელი და მომსახურება	10 090,9	10 756,4	9 840,7
	სხვა ხარჯები	12 517,7	11 304,1	8 715,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12 424,9	14 994,8	21 636,5
	ვალდებულებების კლება	904,8	84,8	134,3
02 09 01	კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები	**4 053,5**	**4 500,0**	**5 616,2**
	ხარჯები	3 670,7	4 250,0	4 306,0
	საქონელი და მომსახურება	3 591,7	4 250,0	4 306,0
	სხვა ხარჯები	78,9	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	380,6	250,0	1 255,2
	ვალდებულებების კლება	2,2		55,0
02 09 08	ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება	**3 304,8**	**178,6**	**738,2**
	ხარჯები	3 304,8	178,6	738,2

	საქონელი და მომსახურება	3 304,8	178,6	738,2
02 09 09	**უკანონო ნაგებობების დემონტაჟი**	**85,5**	**100,0**	**100,0**
	ხარჯები	85,5	100,0	100,0
	საქონელი და მომსახურება	85,5	100,0	100,0
02 09 10	**კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში**	**2 758,1**	**3 068,7**	**3 803,9**
	ხარჯები	1 457,7	1 086,7	779,3
	საქონელი და მომსახურება	-	324,0	268,5
	სხვა ხარჯები	1 457,7	762,7	510,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 246,8	1 982,0	3 024,6
	ვალდებულებების კლება	53,6		
02 09 11	**კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში**	**1 999,8**	**3 030,1**	**3 367,1**
	ხარჯები	1 731,7	2 203,1	775,9
	საქონელი და მომსახურება	20,5	240,4	310,3
	სხვა ხარჯები	1 711,2	1 962,7	465,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	115,0	827,0	2 591,2
	ვალდებულებების კლება	153,0		
02 09 12	**კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში**	**3 954,7**	**3 985,3**	**3 670,3**
	ხარჯები	2 255,6	2 670,3	1 710,3
	საქონელი და მომსახურება	1 287,7	1 890,3	1 030,3
	სხვა ხარჯები	967,9	780,0	680,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 655,9	1 315,0	1 960,0
	ვალდებულებების კლება	43,1		
02 09 13	**კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში**	**1 549,2**	**2 686,3**	**2 850,0**
	ხარჯები	1 023,9	1 756,3	1 279,7
	საქონელი და მომსახურება	251,9	781,3	759,7
	სხვა ხარჯები	772,0	975,0	520,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	481,9	930,0	1 570,3
	ვალდებულებების კლება	43,4		
	ზრდა	**67 898,3**	**78 638,8**	**50 283,5**	**-**	**-**	**-**
	კლება	**29 028,5**	**41 300,0**	**1 400,0**	**1 000,0**	**1 000,0**	**1 000,0**
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	28 930,9	40 800,0	1 100,0	500,0	500,0	500,0
32.1.4	სესხები	97,5	500,0	300,0	500,0	500,0	500,0
32.1.5	აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-
32.1.8	სხვა დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
VII	**ვალდებულებების ცვლილება**	**- 735,9**	**- 9 057,6**	**- 6 510,0**	**- 4 712,0**	**- 5 072,1**	**- 4 255,4**
	ზრდა	**18 000,0**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**

№	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
33.1	საშინაო	18 000,0	-	-	-	-	-
	კლება	**18 735,9**	**9 057,6**	**6 510,0**	**4 712,0**	**5 072,1**	**4 255,4**
33.1	საშინაო	18 735,9	9 057,6	6 510,0	4 712,0	5 072,1	4 255,4
33.2	საგარეო	-	-	-	-	-	-
VIII	**ბალანსი**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**

2017-2020 წლების შემოსულობების პროგნოზი

პროგნოზული გათვლებით, 2017-2020 წლებში, ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება. 2017 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 801,302.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 734,902.0 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადების წილი 260,000.0 ათას ლარს გაუტოლდება (მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 100,000.0 ლარის ოდენობით, ხოლო ქონების გადასახადი 160,000.0 ათასი ლარი იქნება), გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 332,638.1 ათასი ლარი იქნება (გათანაბრებითი ტრანსფერი 332,182.2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 455.9 ათასი ლარი), ხოლო სხვა შემოსავლების წილი 142,263.9 ათასი ლარი.

2017 წლისათვის არაფინანსური აქტივებიდან და ფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 66,400.0 ათასი ლარია ნავარაუდევი.

თბილისის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების და პრიორიტეტების მოცულობები 2015-2020 წლებში

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა	103 718,3	118 215,2	149 690,4	136 856,4	135 390,1	140 350,6
2	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება	175 950,7	181 631,7	153 345,9	141 754,4	144 592,6	142 819,6
3	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	72 118,8	77 975,5	71 492,9	69 230,3	69 285,3	69 480,3
4	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	8 929,1	4 438,4	3 160,8	6 446,1	6 584,1	6 699,2

№	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
5	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	30 325,9	29 723,5	30 875,7	31 695,7	32 815,7	33 445,7
6	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	211 269,7	209 137,1	178 674,8	187 889,9	188 360,8	188 732,4
7	განათლება	93 359,8	106 721,9	108 905,2	120 264,8	120 529,8	119 032,8
8	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა	138 818,8	28 888,5	28 178,7	27 280,6	25 051,7	25 646,9
9	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	25 019,0	3 700,0	3 158,3	3 700,0	3 700,0	3 700,0
10	ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	76 270,7	87 494,3	73 819,5	76 878,1	76 926,4	75 750,7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების დაფინანსების მოცულობა, აღწერა, შედეგები და შეფასების ინდიკატორები

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენა კვლავ ერთერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება დედაქალაქისათვის. ბოლო წლების განმავლობაში დედაქალაქის გზების მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს არსებული გზების რეკონსტრუქციას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზებას, ზოგ შემთხვევაში უსაფრთხო, ცენტრალური უბნების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობას და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას, გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, მეტროს ვაგონების და მეტროს სადგურების რეაბილიტაციას, სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა	**149 690,4**	**136 856,4**	**135 390,1**	**140 350,6**

01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შენახვა	85 477,0	66 185,2	64 757,6	66 938,8
01 12	ტრანსპორტის განვითარება	64 213,4	70 671,2	70 632,5	73 411,8

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვას ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, გაგრძელდება მუშაობა ძირითადი მაგისტრალური და შიდა კვარტალური გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოხდება გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რითაც მნიშვნელოვნად მოწესრიგდება შემოერთებული ტერიტორიებიდან ქალაქთან მისასვლელი გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ დედაქალაქის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა;
- ✓ მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- ✓ მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლები;
- ✓ გადაადგილების დრო და სატრანსპორტო ხარჯები;
- ✓ მოწესრიგებული ქუჩების, მოედნების, შიდაკვარტალური გზების და ეზოების ფართობი.

ტრანსპორტის განვითარება

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას. შუქნიშნების მართვის ცენტრის ექსპლუატაციას, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას, ავტობუსის გაჩერებებზე სამარშრუტო ხაზზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, მეტროს ვაგონებისა და მეტროს სადგურების რეაბილიტაციას, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა.

2. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ძირითად პირობად დღეისათვის კვლავ რჩება საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა პრიორიტეტი ითვალისწინებს ავარიული შენობების გამაგრებას, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციას, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობას, კეთილმოწყობის ღონისძიებების ჩატარებას, ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და მშენებლობას, ქალაქგაფორმებით ღონისძიებებს, ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
2	**ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება**	**153 345,9**	**141 754,4**	**144 592,6**	**142 819,6**
02 01	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	24 064,2	35 410,0	32 805,2	30 884,2
02 02	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება	22 019,0	28 562,6	32 436,6	31 422,4
02 03	საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	6 641,8	7 092,9	7 092,9	7 092,9
02 05	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	21 234,0	20 000,0	20 000,0	20 000,0
02 06	სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა	2 500,0	2 500,0	2 500,0	2 500,0
02 07	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	4 980,7	4 072,8	4 114,6	4 157,5

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
02 09	კეთილმოწყობის ღონისძიებები	40 327,3	31 400,8	32 728,0	33 747,3
02 10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	29 278,9	12 715,3	12 915,3	13 015,3
02 11	2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები	2 300,0	0,0	0,0	0,0

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა–რეკონსტრუქცია

პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მოწესრიგება. დედაქალაქში ამჟამად მრავლად არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია თბილისში საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;
- ✓ საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება;
- ✓ ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, გარემო პირობების გაუმჯობესება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ აღდგენილი და ახლადაშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა

ზინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების დაცვას, ასევე დედაქალაქის მოსახლეობაზე განაწილებული და დაუმთავრებელი საცხოვრებელი

კორპუსების (მათ შორის კოოპერატიული სახლები) დასრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ აღდგენილი და რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობების რაოდენობა.

საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

პროგრამის მიზანია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. გათვალისწინებულია სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო სამუშაოების ჩატარებ; პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; საინჟინრო ნაგებობების (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) მშენებლობა–რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ–კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა–რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების მშენებლობა–რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ–ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა–ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების მეთოდი) და დასკვნების მომზადება; საპროექტო–ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ საავტომობილო გზების, წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით;
- ✓ მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით;
- ✓ ლაბორატორიული კვლევების მომზადება;
- ✓ საპროექტო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ანალიზი.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი;
- ✓ შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია

პროგრამა ითვალისწინებს ქ.თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. ქალაქის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება. გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა;
- ✓ განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება;
- ✓ კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა.

სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

ქალაქის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა, კვეთის სიმცირის გამო. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა;
- ✓ ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მილების, კოლექტორების და წვიმიმღები ჭების რაოდენობა.

ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

პროგრამის მიზანია დედაქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფომებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და

მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, თბილისში არსებული ძეგლების მოვლა-პატრონობა, ძეგლების მშენებლობისა და აღდგენის ღონისძიებები, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლუატაცია და დემონტაჟი, სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების, გახმოვანების აპარატურით მომსახურება და სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება;
- ✓ კეთილმოწყობილი საფლავები, ძეგლები და მემორიალური დაფები.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ მემორიალური დაფების, კეთილმოწყობილი საფლავების და ძეგლების რაოდენობა;
- ✓ მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებული და ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა.

კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის მიზანია დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; შადრევნ–აუზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია); სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ✓ მოსახლეობისათვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

ქ.თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ინფრასტრუქტურისა და გარემოს რეაბილიტაციის სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ქონების მართვისა და ეფექტური გამოყენების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა, ისტორიული უბნების შესწავლა და ქალაქგანვითარების პროექტების ხელშეწყობა, სხვადასხვა უბნებში ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა, ქალაქის ისტორიული ნაწილის

მოვლა-პატრონობისთვის ფინანსების მობილიზაციის შესაძლებლობების კვლევა და ოპტიმალური გამოყენება, კერძო ინვესტორების ჩართულობა და გადაუდებელი პროექტების განხორციელება, ქალაქის რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვის უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებისთვის პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება და/ან განხორციელებაზე კონტროლი.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრირებული არქიტექტურული ძეგლები, აღდგენილი და რეაბილიტირებული შენობები;
- ✓ მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხორებო პირობები, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ინფრასტრუფტურა;
- ✓ ქალაქგანვითარების კონცეფციების მეთოდური უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებაში ჩართული ინვესტორები და დონორები,

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ წელიწადში 15-მდე საცხოვრებელი სახლის გამაგრება/მშენებლობა და 14 ისტორიული ნაგებობის რეაბილიტაცია,
- ✓ ქალაქგანვითარების პროექტებში მონაწილეობა, 150-მდე ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება.

2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მოხდარი ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის: დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის, სხვა სახის ფულადი დახმარებების და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სხვადასხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ რეაბილიტირებული სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლები;
- ✓ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლების რაოდენობა;
- ✓ საცხოვრისით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა.

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და გარე-იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარული და

ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, ახალი სკვერების მოწყობა და არსებულის რეკონსტრუქცია-რესტავრაციით დედაქალაქს შეემატება თანამედროვე ტიპის საერთო სარგებლობის დასასვენებელი კერები. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების ღონისძებები, ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბება და სხვა ღონისძიებები.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
3	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	**71 492,9**	**69 230,3**	**69 285,3**	**69 480,3**
03 01	გამწვანების ღონისძიებები	16 000,0	13 370,0	13 420,0	13 610,0
03 02	დასუფთავების ღონისძიებები	51 000,0	51 000,0	51 000,0	51 000,0
03 03	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	4 492,9	4 850,3	4 855,3	4 860,3

გამწვანების ღონისძიებები

პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თბილისის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა–პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი); სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბელვა და კუნძების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა; სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია; საპარკე ფურნიტურის მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ რეაბილიტირებული და ახლად შექმნილი სარეკრეაციო ზონების რაოდენობა

დასუფთავების ღონისძიებები

ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ხევების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება;
- ✓ ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება;
- ✓ ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- ✓ დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.

თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

მსოფლიოს და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს: ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ვიზიტორების უსაფრთხოება, კომფორტული და შინაარსიანი დასვენება;
- ✓ ცხოველების არსებობის პირობების გაუმჯობესება;
- ✓ საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ვიზიტორთა რაოდენობა

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ზრდის მისაღწევად, აუცილებელია ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნას. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს თბილისში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში; პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, როგორიცაა: ქალაქის ტურისტული შესაძლებლობათა რეალიზაცია, ბიზნესის სტიმულირების მიზნით სხვადასხვა აქტივობები; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა); მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა; გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრა და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნა და სხვა.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
4	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	**3 160,8**	**6 446,1**	**6 584,1**	**6 699,2**
04 01	ბიზნესის სტიმულირება	100,0	990,0	1 000,0	1 065,0
04 03	თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები	400,0	250,0	350,0	350,0
04 04	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	458,3	497,5	497,5	529,0
04 07	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	550,0	170,0	170,0	170,0
04 08	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	80,0	149,0	157,0	162,6
04 09	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	180,0	715,0	735,0	748,0

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
04 10	ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	312,5	3 674,6	3 674,6	3 674,6
04 12	დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა	1 080,0	0,0	0,0	0,0

ბიზნესის სტიმულირება

პროგრამა ემსახურება თბილისში რეგისტრირებულ ან მოქმედ სამეწარმეო სუბიექტების ბიზნეს სტიმულირებას. პროგრამა მიზნად ისახავს ბიზნესისა და მეწარმეობის ეფექტურად წარმართვისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზანია გამოვალინოს პრიორიტეტული დარგები და ხელი შეუწყოს ამ დარგებისთვის საჭირო ადამინური რესურსების კომპეტენციის ზრდას, დარგის პოპულარიზაციას, სტიმულირება/განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეხვედრების, კონფერენციების, ფორუმების, სამიტების ორგანიზებას. სამეწარმეო სუბიექტებისათვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებას, ინტელექტუალურ მხარდაჭერას, ძირითადი მიზნის მისაღწევად მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელეაბს, ვებ გვერდებისა და სხვადასხვა ტიპის აპლიკაციების შექმნა. პროგრამა გულისხმობს დარგის მოთამაშეებთან მჭიდრო კომუნიკაციას, საჭიროებების დროულ იდენტიფიკაციას და ეფექტურ მხარდაჭერას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ახალი საწარმოებისა და ბიზნეს ერთეულების წარმოქმნა და სწრაფი განვითარება;
- ✓ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ✓ დამწყები და არსებული მეწარმეების ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ შემუშავებული სტრატეგიების რაოდენობა, დარგების წარმომადგენლებთან
- ✓ ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ოდენობა,
- ✓ ორგანიზებული ღონისძიებების (ფორუმები, კონფერენციები და გამოფენების) ოდენობა.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარების სტრატეგიების და გეგმების შექმნა და დახვეწა. მათზე დაყრდნობით შეიქმნება სტრატეგიული მნიშვნელობის პროგრამები და პროექტები. სტრატეგიების და პროექტების დაგეგმვისათვის საჭირო იქნება კვლევების ჩატარება და ბაზების შექმნა. ასევე, მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, განავითაროს თბილისში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები და ადგილები. როკფელერის ფონდის მიერ დაფინანსებული

„100 მედეგი ქალაქის'' (100 Resilient Cities) ფარგლებში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიპოვა გრანტი 1 მილიონი აშშ დოლოლარის ოდენობით.

პროექტის ფარგლებში სახსრების ხარჯვა მოხდება უშუალოდ „100 მედეგი ქალაქის'' მიერ კონკრეტული, წინასწარ გაწერილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც მოიცავს: Chief Resilience Officer-ის (CRO) პოზიციის დანერგვას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში და მისი დაფინანსება 2 წლის განმავლობაში; ქალაქის მედეგობის სტრატეგიის (City Resilience Strategy) შემუშავებას; სტრატეგიის შემუშავების და დანერგვის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების მომსახურება (80-მდე საერთაშორისო მასშტაბის ორგანიზაცია, რომლებიც წევრ ქალაქებს მიაწვდიან სხვადასხვა სახის 121 მომსახურებას ქალაქისთვის აქტუალურ საკითხებსა და იმ სფეროებზე, სადაც გამოცდილება და ცონდა შეზღუდულია/არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული მომსახურება ფონდს წევრი ქალაქებისთვის შეფასებული აქვს 200 მილიონ აშშ დოლარად); მედეგი ქალაქების ქსელის წევრობა და სხვა ქალაქების გამოცდილების, კვლევების, სტანდარტების და სტრატეგიების გამოყენება. ასევე Chief Resilience Officer-ის მიერ ექსპერტების მომსახურების გამოყენება. გრანტის შედეგად მიღებული სახსრების ასახვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ მოხდება და მათი ხარჯვა განხორციელდება დონორის მიერ შერჩეული ორგანიზაციების მიერ.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ახალი პროექტების ინიცირება, მერიის პროგრამების დახვეწა-გაუმჯობესება, კვლევების განხორციელება, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება და აქტიური ჩართვა ქალაქის მართვის პროცესში;
- ✓ თბილისის საცხოვრებელი და ტურისტული გარემოს გაუმჯობესება, ძლიერი მხარეების კიდევ უფრო გაძლიერების და სისუსტეების აღმოფხვრისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრა და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა დედაქალაქის უკეთესად წარმოჩენისათვის.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ თბილისის განახლებული და ახალი სტრატეგიები სხვადასხვა მიმართულებით.
- ✓ კლევები და ექსპერტული მომასახურებები.

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება; ასევე, საზღვარგარეთ თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა; არსებულ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცება და ახალ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება; ევროპულ ინიციატივებთან მიერთება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა); "მერების შეთანხმებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა,

ენერგოეფექტური პროექტების განხორციელების, სუფთა, განახლებადი ენერგიების პოპულარიზების და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ქ.თბილისის ამაღლებული რეპუტაცია/ცნობადობა საზღვარგარეთ;
- ✓ არსებულ და ახალ პარტნიორებთან ერთად განხორციელებული/შემუშავებული ღონისძიებები/პროექტები/რეკომენდაციები;
- ✓ ადგილობრივად ორგანიზებული ღონისძიებები: ქალაქებისა და რეგიონების ევროპული კვირეული "ღია დღეების" ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი;
- ✓ სამუშაო შეხვედრა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ;
- ✓ სამუშაო შეხვედრები დონორ ორგანიზაციებთან;
- ✓ "მერების შეთანხმების" ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დადგენილ ვადებში ჩატარებული ენერგეტიკის დღეები, განხორციელებული ენერგოეფექტური პროექტები და მერების შეთანხმების ყოველწლიურ კონფერენციაში ქ.თბილისის წარმოჩენა და შესაბამისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ პარტნიორებთან თანამშრომლობით განხორციელებული მინიმუმ 2 ღონისძიება/პროექტი და პროექტების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები;
- ✓ პარტნიორებთან გაფორმებული 2 შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ✓ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმის ღონისძიებების შედეგად ინიცირებული მინიმუმ 1 პროექტი;
- ✓ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები; დონორ ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრის ანგარიში;
- ✓ "მერების შეთანხმების" ფარგლებში ჩატარებული ენერგეტიკის დღეებისა და ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობის ანგარიშები;
- ✓ ენერგოეფექტური პროექტის განხორციელების შედეგად: სუფთა ენერგიით მიღებული ეფექტი - შემცირებული ემისია.

მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა. პროგრამაში გათვალისწინებულია შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ სსიპ-ებში და ა(ა)იპ-ებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების და ბალანსის წარმოების სრულყოფის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება.
- ✓ საფინანსო სისტემაში მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ეფექტური ინტეგრირება და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ მერიის სისტემაში მოქნილი და ეფექტური პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირება

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

პროგრამის მიზანია ქალაქის ტურისტული შესაძლებლობათა რეალიზაცია, ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა და დადებითი იმიჯის შექმნა. პროგრამა მიზნად ისახავს, შეიქმნას ნათელი სურათი და ერთიანი ხედვა, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი და აღქმული თბილისი როგორც ბრენდი, თავისი განსაკუთრებული მახასიათებლებით. ასევე, როგორ უნდა მოხდეს მისი პოზიციონირება მსოფლიოს ტურისტულად მიმზიდველ ქალაქებს შორის. ტურისტული ატრაქციების შექმნას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, თბილისის ოფიციალური ტურისტული ვებ-გვერდის შექმნას; მიზნობრივ გამოფენებსა და ფორუმებზე საიმიჯო პროდუქციით წარდგენას. ასევე თბილისის შესახებ ტურისტული ინფორმაციის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ქალაქის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია;
- ✓ ქალაქში არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ ტურისტული ბიზნესების ხელშეწყობა;
- ✓ უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობისა და თბილისის ატრაქციულობის ზრდა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ შექმნილი სტრატეგიები;
- ✓ ჩატარებული კვლევები;
- ✓ თბილისის წარმოჩინება მიზნობრივ ბაზრებზე;
- ✓ შექმნილი სარეკლამო-მარკეტინგული მასალის ოდენობა;
- ✓ დამატებით ტურისტული ატრაქცია, ტურისტული ვებ-გვერდი, ინფორმაციის რეესტრი ტურისტული ობიექტების გათვალისწინებით.

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

პროგრამის მიზანია ინვესტორთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების რეალიზაცია. შესაბამისად: პროგრამა უზრუნველყოფს ქ.თბილისის მერიის მუდმივ კოორდინაციას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დედაქალაქის მუნიციპალიტეტებთან და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებთან ინვესტორთათვის ერთი ფანჯრის პრინციპით მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. დაინტერესებულ პირებს პროგრამა მიაწოდებს ინფორმაციას ქალაქისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების, საინვესტიციო გარემოსა (რეგულაციებისა და პროცედურების ჩათვლით) და სხვა ეკონომიკური მონაცემების შესახებ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდება საინვესტიციო პაკეტები დაინტერესებული ინვესტორებისთვის. ჩამოყალიბდება ხედვა და სამოქმედო გეგმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, ქალაქს მიეცემა საშუალება საერთაშორისო საინვესტიციო გამოფენებსა და ფორუმებზე წარმოაჩინოს ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობები, ასევე ორგანიზება გაუწიოს ადგილობრივ საინვესტიციო ფორუმებს. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქალაქის წარმომადგენლების მჭიდრო თანამშრომლობას და გამოცდილების ურთიერთ-გაზიარებას სხვადასხვა ქალაქებთან და საინვესტიციო ჯგუფებთან.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ინვესტორთა მომსახურების გაუმჯობესება;
- ✓ ინვესტორთა გაზრდილი ინფორმირებულობა თბილისის საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ;
- ✓ ქალაქ თბილისის ცნობადობის გაზრდა;
- ✓ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურება;
- ✓ კონკრეტული საინვესტიციო პროექტების შექმნა და მათი რეალიზაცია.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოჩენა ადგილობრივ ან საერთაშორისო გამოფენებზე და ფორუმებზე;
- ✓ საინვესტიციო პროექტის ინიცირება;
- ✓ შემუშავებული ახალი საინვესტიციო პაკეტები.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება

პროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშეწობა და განვითარება. 1. სხვადასხვა სფეროში ინოვაციური პროექტების მომზადება და განხორციელება; 2. ქალაქისთვის SMART CITYკონცეფციის ხელშეწყობა; 3. ენერგოეფექტური და მდგრად ენერგეტიკასთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება. პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება კვლევები და განხორციელდება საპილოტე პროექტები რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ქალაქისთვის მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ დანერგილი ინოვაციური პროექტები და ახალი ტექნოლოგიები ქალაქის მასშტაბით;
- ✓ ქალაქისთვის SMART CITY სტატუსის მინიჭება;
- ✓ ჩატარებული კვლევების საფუძველზე განხორციელებული მასშტაბური პროექტები;
- ✓ ენერგოექტურობის კუთხით განხორციელებული პროექტები.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ინოვაციებით და ახალი ტექნოლოგიებით მოცული სფეროების რაოდენობა;
- ✓ ჩატარებული კვლევის საფუძველზე განხორციელებული პროექტების რაოდენობა, მასშტაბურობა და მდგრადობა;
- ✓ ენერგოეფექტურობის სფეროში გახორციელებული პროექტების რაოდენობა და გაზრდილი ცნობიერება;
- ✓ ქალაქის აღიარება საერთაშორის დონეზე ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

პროგრამის მიზანია დედაქალაქის მდგრადი განვითარება და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველოფა, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრა და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნა.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის - ტერიტორიული დაგეგმვის ნორმატიულ სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, უზრუნველყოფს მისი, როგორც დედაქალაქისა და ეკონომიკური სამეცნიერო–კულტურული, სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქმშენებლობისა და ქალაქრეგულირების მეშვეობით განსაზღვრავს და უზრუნველყოფს დედაქალაქის ტერიტორიული განვითარების მიმართულებას, საზღვრების დადგენას, ტერიტორიულ ფუნქციურ დანიშნულებას და უფლებრივ ზონირებას, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებას ("ჯანმრთელი ქალაქი, მწვანე ქალაქი, კომპაქტური ქალაქი), საინჟინრო–სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და განვითარებას, ეკოლოგიურ მდგრადობას, დედაქალაქის ტერიტორიის საშიში ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესებისაგან დაცვას, დედაქალაქის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ნაწილების ურთიერთკავშირებს, არსებული საცხოვრებელი განაშენიანების რეორგანიზაციას, ისტორიულ გეგმარებითი სივრცითი თავისებურების შენარჩუნებას, ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და განვითარებას, რეკრეაციული საპარკო ზონების შენარჩუნებას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ დოკუმენტის მომზადება შექმნის დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების სამართლებრივ ქალაქგეგმარებით საფუძველს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საერთო სტრატეგიის ჩარჩოებში პროგნოზირებადი გარემოს შექმნას და როგორც შედეგი

ქალაქმშენებლობითი საქმიანობის მონაწილეთა აქტივობის სტიმულირებას და ინტერესთა კოორდინაციას, უმრავი ქონების მესაკუთრეთა და ინვესტორებისათვის ობიექტის სამშენებლო განვითარებისა და გამოყენების რეალური სამართლებრივ გარანტიებს, აგრეთვე დარგობრივი დაგეგმარების დოკუმენტის გადაწყვეტების თავსებადობას.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ეფექტურობის შეფასება შესაძლებელია მიწისა და უმრავი ქონების, აგრეთვე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი ღირებულებით, ინვესტიციების ზრდით, ქალაქების კონკურენციაში დაკავებული ადგილით და გაეროს ცენტრ "ჰაბიტატის" საყოველთაოდ აღიარებული საქალაქო ინდიკატორებით.
- ✓ საქალაქო მიწების გამოყენების (მიწათსარგებლობის) ეფექტურობის შეფასებისას გამოიყოფა 3 ასპექტი: 1: მიწათსარგებლობითი, 2: ქალაქმშენებლობითი. 3: გარემოსდაცვითი.

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

პრიორიტეტი ითვალისწინებს ამხანაგობების გააქტიურებას საკუთარი და მერიის თანამონაწილეობით საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად. დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საქმეში. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ძნელია მოქალაქეებმა საკუთარი სახსრებით მიხედონ საერთო სარგებლობის ქონებას. ფინანსური თანადგომით და თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებით და ღონისძიებებით მერია აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, მათ შორის: ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
5	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	**30 875,7**	**31 695,7**	**32 815,7**	**33 445,7**
05 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	30 875,7	31 695,7	32 815,7	33 445,7

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

გათვალისწინებულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაციისთვის, განახლებისთვის და ექსპლუატაციისთვის საჭირო სამუშაოებზე თანადაფინანსების პრინციპით ხარჯების გაწევა. ღონისძიებების თანადაფინანსება ბიუჯეტიდან ხორციელდება პროცენტულად. პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის სახურავის შეკეთებას (ბრტყელი გადახურვა და ქანობიანი გადახურვა); ლიფტების და მიმდინარე შეკეთებას, შენობების კაპიტალური შეკეთებას, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთებას, ბინათმესაკუთრეთა მიერ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ. მიშენების (არა ინდივიდუალური) კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრას, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას, ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირებას (წითელ ხაზებში მოქცევა), სადარბაზოების შიდა რემონტს, სადარბაზოს შესასვლელი კარების დამზადება-მონტაჟს, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციას, შშმპ-სთვის პანდუსების, სპეც. ამწეების და ლიფტების მონტაჟს. ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის საპილოტე პროექტს, ამხანაგობების სატრენინგო ან/და საკონკურსო პროექტებს და სხვა ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ სამოქალაქო საზოგადოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა ქალაქისათვის აქტუალური საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საქმეში.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ამხანაგობების მოთხოვნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის დახმარება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. პრიორიტეტის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იქნებიან გარანტირებული სოციალური დახმარებებით, მათი საჭიროებიდან გამომდინარე. ყურადღება გამახვილდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავება/გაუმჯობესებაზე, ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, ნარკომანია და ფსიქიკური ჯანმრთელობა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, კომუნალურ გადასახადებზე და ა.შ. გაგრძელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების

განხორციელება. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობებიდან ხორციელდება მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებები.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
6	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	178 674,8	187 889,9	188 360,8	188 732,4
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	39 983,9	40 005,2	40 205,2	40 405,2
06 02	სოციალური დაცვა	138 690,9	147 884,8	148 155,7	148 327,3

ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანდაცვის ქვეპროგრამები, როგორიცაა: სასწრაფო სამედიცინო დახმარება, დაავადებათა სკრინინგი, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია, ,,c" ჰეპატიტით დაავადებულ პირების კვლევების დაფინანსება, ტრანსპლანტაცია, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

სოციალური დაცვა

მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები. კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტირებულ ოჯახებს, ასევე მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას გაეწევათ სხვადასხვა ტიპის დახმარებები. სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. განხორციელებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრევენციული, სარეაბილიტაციო და დამხმარე საშუალებებით

უზრუნველყოფა; ხანდაზმულთა, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ პირთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობები თავის მხრივ განახორციელებენ და დააფინანსებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ადეკვატური სერვისებით უზრუნველყოფილი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით გაუმჯობესებული მიზნობრივი ჯგუფები.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ სოციალური მომსახურებით უზრუნველყოლ ბენეფიციართა რაოდენობა

7. განათლება

საბავშვო ბაგა–ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს დედაქალაქის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. ურბანული კულტურის განვითარებასა და საერთაშორისო შემოქმედებით–საგანმანათლებლო პროცესებში აქტიურ ჩართვას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციას. ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების და მედიათეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
7	განათლება	108 905,2	120 264,8	120 529,8	119 032,8
07 01	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	94 891,0	105 349,7	105 549,7	104 002,7
07 02	ზოგადი განათლების სისტემის	6 364,4	6 068,5	6 088,5	6 118,5

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
	ხელშეწყობა				
07 03	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	2 628,6	3 000,0	3 000,0	3 000,0
07 04	პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა	90,0	370,0	380,0	385,0
07 05	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	1 914,2	2 127,6	2 162,6	2 177,6
07 06	მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	3 017,0	3 349,0	3 349,0	3 349,0

სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;
- ✓ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ✓ ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა;
- ✓ ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და ჯგუფების რაოდენობის ზრდა;
- ✓ არანაკლებ 1500 ბავშვისთვის დამატებითი თავისუფალი ადგილის შექმნა;
- ✓ 500-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის მომსახურება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ მედია სივრცესა და სოციალურ ქსელებში საინფორმაციო რგოლების განთავსება და კამპანიის წარმოება. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, შემეცნებითი ხასიათის პროექტების განხორციელება; ტრენინგები თვითმმართველობის მოხელეებისთვის და ქვეუწყებების წარმომადგენელთათვის.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- ✓ შშმ მოსწავლეებისათვის გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხი;
- ✓ საზოგადოების ინფორმირებულობა და პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ✓ მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის განათლების ხელმისაწვდომობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ადაპტირებული ტრანსპორტის რაოდენობა;
- ✓ საგანმანათლებლო სივრცეში შშმ ბავშვების ჩართულობის დონის ზრდა;
- ✓ გადამზადებულ მოხელეთა რაოდენობა
- ✓ განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა

თბილისის მთავარი ბიბილიოთეკის და თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია. მათ შორის: ბიბლიოთეკების თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით. ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გამართვა ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისათვის, რათა ბიბლიოთეკა და მედიათეკა აღიქმებოდეს ერთიან კულტურულ კერად.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ✓ მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა;
- ✓ ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ სერვისებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა;

- ✓ საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა.

პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება საგანამანთლებლო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა, ზრდასრულთა განათლების სერვისების განვითარება დედაქალაქში და ზრდასრულთა განათლების ტრენერების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ხელშეწყობა და დედაქალაქისთვის პრიორიტეტული ახალი პროგრამების შექმნის წახალისება, თანამშრომლობისა და კოორდინაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სახელმწიფო, საგანმანათლებლო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი სამოქმედო გეგმის შექმნა პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების მიზნით. დედაქალაქში მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი სასწავლო პროგრამების და კურსების მხარდაჭერა, კერძო სექტორთან თანამშრომლობით პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება დედაქალაქში მცხოვრებთათვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შემდგომი დასაქმების მიზნით, დასაქმების ფორუმების განხორციელება და დამსაქმებელთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ პროფესიული და ზრდასრულთა განათლების საშუალებით დედაქალაქის მაცხოვრებლები შეძლებენ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ღირსეულ დასაქმებას.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ პროგრამაში ჩართული ორგანიზაციები,
- ✓ განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები

უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნისთვის მნიშნველოვანია ტრენინგების, კონსულტაციისა და სტაჟირების ერთიანი სისტემის დანერგვის გზით პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნა. იურიდიული კლინიკის ფარგლებში განხორციელდება მოქალაქეთა კონსულტაცია და სამართლშემოქმედების პროცესში პროგრამის მონაწილეთა ჩართვა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტაჟირების უზურნველყოფა და პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების განათლების ხარისხი და გაიზრდება შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის დონე;

- ✓ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სტაჟირება გაიარონ იურიდიულ კლინიკაში და აიმაღლონ კვალიფიკაცია;
- ✓ მიზნობრივ ჯგუფებს ექნებათ შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ იურიდიულ კლინიკაში პრაქტიკა/სტაჟირება გავლილი სტუდენტების რაოდენობა;
- ✓ სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოქალაქეთა რაოდენობა;
- ✓ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების ზრდა.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა დ სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, სასახლის მიერ მართვის ფუნქციების განსახორცილებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ დაინტერესებულ მოზარდთა რაოდენობა.

8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; თბილისის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა; კულტურის დაწესებულებებში შშმ პირებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობა, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა; საბალეტო ხელოვნებაში არსებული მოდერნული ტენდენციების დამკვიდრება და განვითარება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე

სტანდარტების დონეზე მოწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია თბილისის ყველა უბანში.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
8	**კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა**	**28 178,7**	**27 280,6**	**25 051,7**	**25 646,9**
08 01	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	1 856,7	2 114,6	2 114,6	2 114,6
08 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	1 801,6	2 001,0	2 001,0	2 001,0
08 03	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	893,0	1 083,4	1 083,4	1 083,4
08 04	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	2 433,8	2 625,1	2 755,1	2 935,1
08 05	კულტურის ღონისძიებები	3 235,0	3 900,0	4 150,0	4 400,0
08 06	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	14 397,4	9 254,2	9 394,2	9 504,2
08 08	ახალგაზრდული ღონისძიებები	1 787,1	4 558,0	1 806,5	1 856,5
08 09	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	350,0	390,0	392,6	397,8
08 11	კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში	1 050,0	1 050,0	1 050,0	1 050,0
08 12	თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი	274,0	304,3	304,3	304,3
08 13	ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა	100,0	250,0	250,0	250,0

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თეატრების არსებული მდგომარეობის შეფასება და დახმარება რეპერტუარის განახლებაში - თითოეული თეატრის მოთხოვნების, სტრუქტურის, შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით; ადგილობრივი თეატრების ხელშეწყობას სპექტაკლების დადგმის ხარჯის გაწევით და ტექნიკური აღჭურვით; საშემსრულებლო ხელოვნებისა და კულტურული ინოვაციების ტენდენციების წარმოდგენა

თეატრალური წარმოდგენების სახით და ამ გზით საქართველოში საერთაშორისო კულტურული ცენტრის შექმნა ყველა თაობისა და ასაკის ადამიანებისათვის; თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის მოპოვებას და მის მიმართ დაინტერესების ზრდას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გამლიერება;
- ✓ შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ სპექტაკლების და ფესტივალების რაოდენობა.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საგუნდო და მუსიკალური საკრავები - სასულე და სიმფონიური ორკესტრების - ვიოლინო, ვიოლენჩელო, ჩელო, კონტრაბასი, არფა, ფლეიტა, კლარნეტი, ვალტორნა, საქსაფონი, საყვირი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ტრომბონი და სხვა) შენარჩუნება; ხელოვნების სკოლების დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად; ხელოვნების სკოლების მოსწავლეების და მასწავლებლების ყოველწლიური საიუბილეო და საანგარიშო შემოქმედებითი კონცერტებისა და გამოფენების მოსაწყობად (შემოქმედებითი აქტივობები/პროექტები/პროგრამები) დარბაზის იჯარა; ხელოვნების სკოლების და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისთვის კომუნალური და ინტერნეტ მომსახურების დაფარვა; სახელოვნებო სკოლების დათვალიერება-ფესტივალი და სხვა ღონისძიებები;

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება;
- ✓ მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- ✓ კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ სახელოვნებო განათლების სპეციალობებით დაინტერესებულ მოსწავლეთა რაოდენობა;
- ✓ სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსების, ფესტივალების, საანგარიშო კონცერტების რაოდენობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი

ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები; მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; მოსახლეობის ფართო მასების ინტერესების გათვალისწინებით ახალი პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმებში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესების კულტურის დამკვიდრებას და დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდას.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში;
- ✓ მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- ✓ მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა;
- ✓ მუზეუმებში მოწყობილი გამოფენების და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა.

ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება

თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საკონცერტო ორკესტრის "ბიგ-ბენდი" ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ხელშეწყობა, ქართული ფოლკლორის დარგების შესწავლა და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; თბილისის პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე, ხოჯევანქი) მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია - მისი როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება და კულტურულ ტურიზმში ჩართვა, მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ტექნიკური აღჭურვა, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც გულისხმობს არსებული და მშენებარე კულტურის ობიექტების ადაპტაციას მათ საჭიროებებთან, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია;
- ✓ კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ✓ მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი პანთეონები;

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ჩატარებული ღონისძიებების, ტურისტების და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა;
- ✓ თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.

კულტურის ღონისძიებები

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორიცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობა და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში;
- ✓ საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვანების ჩართულობა და მონაწილეობა;
- ✓ განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესი, ღონისძიებებზე დამსწრეთა, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები;
- ✓ ფესტივალებში, კონკურსებსა და საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობა.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

თბილისში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);

სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ და თბილისის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;

სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის;

მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;

სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა, სკვერებში გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
- ✓ სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- ✓ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა;
- ✓ მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ პრიზიორთა რაოდენობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე;
- ✓ საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა.

ახალგაზრდული ღონისძიებები

პროგრამა შექმნილია თბილისში, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და გარემოს შექმნის მიზნით, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდული ბანაკები; ახალგაზრდული ცენტრების ბაზაზე ჩატარდება, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ახალგაზრდული ღონისძიებები; ახალგაზრდებისთვის განხორციელდება გასართობი, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ან/და მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ სოციალურად აქტიური ახალგაზრდები, რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სოლიდარული საზოგადოების ფორმირებისთვის;
- ✓ ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის არეალის გაფართოვება და მათი აქტივობის ზრდა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა;

- ✓ ახალგაზრდული ცენტრების მომსახურეობით მოსარგებლე ახალგაზრდების რაოდენობა;

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია თბილისის, როგორც კულტურის რეგიონული ცენტრის პოპულარიზაცია - ლოკალურ და საერთაშორისო ინიციატივებში ჩართვის, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებთან კულტურის საკითხებში თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის შემუშავებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების გზით. პროგრამა ხელს შეუწყობს თბილისის, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქალაქის სახელის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ, კულტურული ღირებულების ექსპორტსა და კულტურული ტურიზმის განვითარებას. დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია - საერთაშორისო მნიშვნელობის ფესტივალების მოწყობა, უცხოეთში კულტურული ღირებულების ექსპორტის გზით ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ქართული ტრადიციული და თანამედროვე კულტურის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების გზით თბილისის განვითარების ერთიანი სტრატეგია;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- ✓ კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ხელოვნების და კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების რაოდენობა;
- ✓ თბილისის ცნობადობისა და ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- ✓ კვლევების, პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობა.

კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა მათ შორის: რაიონის ტერიტორიის ფარგლებში ეროვნული თუ ადგილობრივი დღესასწაულების ორგანიზება და სხვადასხვა სპორტულ-კულტურული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა; სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების გამართვით მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; ტურნირების და შეჯიბრებების და საუბნო ჩემპიონატების ორგანიზება; შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების, ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა შემოქმედებითი საღამოების მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ გამგეობის ორგანიზებულ ღონისძიებებში მოსახლების ჩართულობის აქტივობის ზრდა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების მხარდამჭერი ღონისძიებების რაოდენობა.

თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

პროგრამის მიზანია თანამედროვე ქართული ცეკვის/ბალეტის მრავალფეროვანი მიმართულებების დანერგვა, თბილისის როგორც რეგიონის კულტურის ცენტრის პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო პროექტების და მასტერკლასების განხორციელება, საერთაშორისო კავშირების დამყარება, მსოფლიოში მოღვაწე თანამედროვე ქორეოგრაფების მოწვევა და მათ მიერ საბალეტო დასში დადგმების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მოსწავლე - ახალგაზრდობის დაინტერესება ქართული თანამედროვე ბალეტით

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ თანამედროვე ბალეტით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა

ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა

ინკლუზიური ხელოვნების განვითარება (სახვითი ხელოვნება, ფოტოგრაფია, ინკლუზიური თეატრალური პროექტების, და ა.შ) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შშმ პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და მათთან საზოგადოების თითოეული წევრის ყველაზე სასურველი ფორმით დაახლოებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ინკლუზიური ხელოვნების მეთოდოლოგიის შემუშავება; ინკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინტეგრირებული ღონისძიებების/შემოქმედებითი საღამოების ფესტივალების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ ინკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა.

9. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
9	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	**3 158,3**	**3 700,0**	**3 700,0**	**3 700,0**

09 02	ცხოველთა მონიტორინგი	3 158,3	3 700,0	3 700,0	3 700,0

ცხოველთა მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის დაცვა საშიში, აგრესიული ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან, ჰუმანური წესით მათი დაჭერა და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია; ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლი; ცხოველთა ტრანსპორტირება და მიღება-განთავსება შესაბამის მუნიციპალურ ან კერძო თავშესაფარში; საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინალური ღონისძიებების განხორციელება-გამოყენება; დისლოკაციის ადგილზე სწრაფი რეაგირების დანაყოფების 24-საათიანი მორიგეობისა და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა ეპიზოოტიების, გარეულ ცხოველთა და ქვეწარმავლების შემოსევისა და სხვა მსგავს სიტუაციებზე (შემდგომში - საგანგებო სიტუაციები) რეაგირებისათვის; ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების (ვეტერინალური, სანიტარული, უსაფრთხოების, ტექნიკური და სხვა) უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი

- ✓ საშიში ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ხარისხის ამაღლება. ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლი (რაოდენობრივი ოპტიმიზაცია).

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ მაწანწალა უზედამხედველო ცხოველებისა და ქვეწარმავლებისაგან დაცული მოსახლეობა.

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ზოგადი ინფორმაცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 801 302,0 ათასი ლარით და პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 1 031.5 ათასი ლარით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება :

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა 149 690.4 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 153 345.9 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 71 492.9 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 3 160.8 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 30 875.7 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 178 674.8 ათასი ლარი;
- განათლება 108 905,2 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 28 178,7 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 158.3 ათასი ლარი.
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 73 819.5 ათასი ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 734 902.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

✓ გადასახადები 260 000,0 ათასი ლარი

- საშემოსავლო გადასახადი 100 000,0 ათასი ლარი. თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით მცირდება 50 000,0 ათასი ლარით. გეგმა დაზუსტებულია, მიმდინარე წელს საშემოსავლო გადასახადის სახით, აგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად აკუმულირებული თანხების მიხედვით. 2016 წელთან შედარებით გადასახადიდან მისაღები შემოსავლის მოცულობა შემცირებულია 90 000,0 ათასი ლარით, რომლის სანაცვლოდაც გაზრდილია გათანაბრებითი ტრანსფერი. საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი კატეგორიებიდან მიღებული შემოსავლების 100%-ით ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვას, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 126 400,0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 16 600,0 ათასი ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი 17 000,0 ათასი ლარი.

✓ გრანტები 332 638,1 ათასი ლარი

- გათანაბრებითი ტრანსფერი 332 182,2 ათასი ლარი. თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 49 031,5 ათასი ლარით (2016 წელთან შედარებით გაზრდილია 90 000,0 ათასი ლარით);

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 455,9 ათასი ლარი.

✓ სხვა შემოსავლები 142 263,9 ათასი ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 14 294,8 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 40 000,0 ათასი ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 44 000,0 ათასი ლარი;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) 26 500,0 ათასი ლარი;

- სხვადასხვა შემოსავლები – 17 469,1 ათასი ლარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 563 591,3 ათას ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 87 670,2 ათასი ლარით, რომელიც 2016 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 9 230,2 ათასი ლარით, ხოლო დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 13 101,5 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 126 964,4 ათასი ლარი, რომელიც 2016 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 8 652,4 ათასი ლარით, ხოლო დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 9 225,2 ათასი ლარით, პროცენტები გათვალისწინებულია 1 823,4 ათასი ლარით, სუბსიდიები 83 956,7 ათასი ლარით, გრანტები 29,5 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა 146 574,3 ათასი ლარით და სხვა ხარჯები 116 572,8 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მწრთვნელთა მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება და სხვა.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 63 014,8 ათას ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა – 128 014,8 ათასი ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლება – 65 000,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება

ფინანსური აქტივების ცვლილება 101 883,4 ათასი ლარი;

- ფინანსური აქტივების ზრდა – 103 283,4 ათასი ლარი;
- ფინანსური აქტივების კლება – 1 400,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება

2017 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (6 412,5) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2017 წლისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 108 295,9 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქ. თბილისის 2017 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 801 302.0 ათას ლარს.

2017 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტები განისაზღვრა:

❖ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 149 690,4 ათასი ლარით, რომელიც 2016 წლის მაჩვენებლებთნ შედარებით იზრდება 31 475,2 ათასი ლარით. ზრდა ძირითადად განპირობებულია ტრანსპორტის განვითარების პროგრამაში გათვალისწინებული პრიორიტეტული ქვეპროგრამების დასაფინანსებლად

გათვალისწინებული ასიგნებებით. მათ შორის, 2017 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია 20 853,4 ათასი ლარის ოდენობით, რომელშიც გათვალისწინებულია 10 მეტროს ვაგონის მოდერნიზაცია, 20 ვაგონის საშუალო რემონტი და 30 ძრავის შეკეთება. ასევე მეტროს სადგურების რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებულია 10 588,0 ათასი ლარი. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ასიგნებები განისაზღვრება 20 753,0 ათასი ლარით, რომელშიც გათვალისწინებულია ერთერთი პრიორიტეტული პროექტი, ახალი ავტობაზის მშენებლობა და გაზგასამართი სადგურის მოწყობა და სხმა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები. გარდა ამისა, პრიორიტეტი ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სულ 85 477,0 ათასი ლარი, მათ შორის დაგეგმილია 747,2 ათასი კვმ გზების კაპიტალური და 652.3 ათასი კვმ გზების მიმდინარე შეკეთება. საკრებულოს შენიშვნებიდან დამატებით გათვალისწინებულია კონსტიტუციის, ქინქლაძის და როსტოვის ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით პრიორიტეტი გაზრდილია 2 000,0 ათასი ლარით, რომელიც მთლიანად საბაგირო ტრანსპორტის განვითარების პროგრამას დაემატა, მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ამასთან, საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით, ბიუჯეტთან ერთად წარმოდგენილი დანართებში დაზუსტდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ფასები და შესაბამისად გაანგარიშებები.

❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 153 345,9 ათასი ლარით. 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით შემცირება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პრიორიტეტის ფარგლებში 2016 წელს გათვალისწინებული იყო პროგრამა 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 15 125,1 ათასი ლარის ოდენობით და ქალაქის განვითარების ხელშეწყობა 46,0 მლნ ლარის ოდენობით. მიუხედავად შემცირებული ასიგნებისა ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიულ-

კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია ახალი პროექტების დაწყება, მათ შორის ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია, პუშკინის #19 და ყავლაშვილის #5-7 შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, 7 ყველაზე გამორჩეული სადარბაზოს რეაბილიტაცია და აღმაშენებლის გამზირზე ისტორიული ბაღების რეაბილიტაცია და ერთმანეთთან დაკავშირება და სხვა. საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინების შედეგად, თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა იზრდება 1 914.5 ათასი ლარით, რაც ძირითადად მოხმარდება ფიროსმანის ქუჩაზე სამი სახლის და წინამძღვრიშვილის ქ.11,39 სახლების რეაბილიტაციას. საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით, ასევე, იზრდება ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრების პროგრამა 2019,0 ათასი ლარით, საიდანაც 1019,0 ათასი ლარი კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვისაა გათვალისწინებული. პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 24 064,2 ათასი ლარი, მათ შორის განხორციელდება 1333 გრძმ საყრდენი კედლის მოწყობა, 10750 გრძივი მეტრი სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა, ხიდებისა და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 7 072,3 ათასი ლარი, მახათას მთაზე პანთეონის მოწყობის სამუშაოები და სხვა. პროგრამა გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი გარე განათების ქსელების მოწყობა 1,0 მლნ ლარის და ღირსშესანიშნავი არქიტექტურული შენობებისა და საინჟინრო ნაგებობების მხატვრულ-არქიტექტურული მინათებების მოწყობა 1,0 მლნ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამისათვის კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 33 872,9 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში 3 803,9 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში 3 367,1 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 3 670,3 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 2 850,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 3 484,7 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 4 258,9 ათასი ლარი, ისნის რაიონში 2 300,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში 4 420,7 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 2 549,5 ათასი ლარი და მთაწმინდის რაიონში 3 167,8 ათასი ლარი. პრიორიტეტში დაემატა პროგრამა 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 2

300,0 ათასი ლარის ოდენობით, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საცხოვრისით უზრუნველყოფისა და კომპენსაციებისათვის.

ამასთან, საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით, ბიუჯეტთან ერთად წარმოდგენილი დანართებში დაზუსტდა კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ფასები და შესაბამისად გაანგარიშებები.

❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 71 492,9 ათასი ლარით. მათ შორის გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 16 000,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 190476 ათასი ძირი ხე-მცენარის შესყიდვა დარგვის თანმდევი მომსახურებით. ასევე, დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 51 000,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 4 492,9 ათასი ლარი.

❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 3 160,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 100,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 400,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 458,3 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა 550,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 80,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 180,0 ათასი ლარი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება 312,5 ათასი ლარი. 2015 წელს დაიწყო და 2017 წელს გრძელდება პროგრამა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა", რომლისთვისაც გათვალისწინებულია 1 080,0 ათასი ლარი.

❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 30 875,7 ათასი ლარით, მათ შორის გლდანის რაიონში - 2 246,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 100,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 298,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 3 400,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 800,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 900,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 3 350,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 644,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 484,7 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 3 653,0 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაციისთვის, განახლებისთვის და ექსპლუატაციისთვის საჭირო სამუშაოებზე თანადაფინანსებას.

დედაქალაქში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, ღონისძიებების თანადაფინანსება ბიუჯეტიდან ხორციელდება პროცენტულად. პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის სახურავის შეკეთებას (ბრტყელი გადახურვა და ქანობიანი გადახურვა); ლიფტების მიმდინარე შეკეთებას, შენობების კაპიტალურ შეკეთებას, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთებას, ბინათმესაკუთრეთა მიერ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ. მიშენების (არა ინდივიდუალური) კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრას, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას, ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირებას (წითელ ხაზებში მოქცევა), სადარბაზოების შიდა რემონტს, სადარბაზოს შესასვლელი კარების დამზადება-მონტაჟს, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციას, შშმპ-სთვის პანდუსების, სპეც. ამწეების და ლიფტების მონტაჟს და სხვა ღონისძიებებს. ამასთან, საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით, ბიუჯეტთან ერთად წარმოდგენილი დანართებში დაზუსტდა ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ფასები და გაანგარიშებები.

❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 178 674,8 ათასი ლარით. 2016 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით მცირდება 30 462,3 ათასი ლარით. კლება ძირითადად განაპირობა კომუნალური სუბსიდირების შემცირებამ, რაც გამოწვეულია, მიმდინარე წელს კომუნალური სუბსიდირების წესში ცვლილების შეტანით, რის გამოც პროგრამით სარგებლობენ მხოლოდ სოციალურად დაუცველთა ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 200001-ზე. შემცირება ასევე შეეხო ქვეპროგრამებს, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 39 983,9 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება ტრანსპლანტაციის და „c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამები, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაზრდილი ოდენობებით არის წარმოდგენილი ქვეპროგრამები აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება და ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია. ასევე, სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური

დახმარება, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების - „ახალშობილთა" პროგრამა, შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში სწავლების დაფინანსების პროგრამა, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 25,8 მლნ ლარის ოდენობით, აქედან სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18,3 მლნ ლარია, მათ შორის, გლდანის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 769,6 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 015,5 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 1 855,6 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 302,6 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 1 960,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 404,4 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი. 2015 წელს დაიწყო და 2017 წელსაც გაგრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

❖ განათლება 108 905,2 ათასი ლარით. პრიორიტეტი 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 2 183,3 ათასი ლარით. პრიორიტეტის ზრდა ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იზრდება მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ასიგნებები 617,0 ათასი ლარით, რაც დაკავშირებულია სასახლის დარბაზის რემონტის, სახანძრო უსაფრთხოების და გათბობა-გაგრილების სისტემების მოწყობასთან. ასევე იზრდება საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა 1 942,0 სადაც მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადებისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 94 891,0 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება 166 საბავშვო ბაღი,

60000-მდე აღსაზრდელით. პროგრამის ფარგლებში 2014 წლიდან დღემდე დასრულდა 7 ახალი ბაღის მშენებლობა. 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 7 ახალი ბაღის მშენებლობის დასრულება. ასევე, 2017 წელს იგეგმება 8 ახალი ბაღის მშენებლობის დაწყება.

❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 28 178,7 ათასი ლარით. 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით მცირდება 709,8 ათასი ლარით. შემცირება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დაწყებულია ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ცენტრის ლიკვიდაციის პროცესი, ხოლო ფუნქციები გადადის კულტურის საქალაქო სამსახურში. 2017 წელს გაგრძელდება პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მწრვთვნელთა მხარდაჭერა და სხვა. პროგრამა სპორტული ღონისძიებების ფარგლებში, 2017 წელს საქართველოში ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელი ღონისძიებების ხელშეწყობისავის გათვალისწინებულია 1 507,5 ათასი ლარი, რომელიც ქალაქ თბილისის მერიას დაევალა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N748 დადგენილებით. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 3 666,7 ათასი ლარი, თემქის XI მკ/რ-ში, II კვარტალში მდებარე სპორტული ბაზის რეაბილიტაცია და აღჭურვისათვის, 1554,4 ათასი ლარი ვაზისუბნის IV მ/რ-ში მდებარე სარაგბო მოედნის მშენებლობა/რეკონსტრუქციისათვის და 2 000,0 ათასი ლარი გლდანის მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ სარაგბო სპორტული კომპლექსის და სტადიონის მშენებლობისათვის. ასევე გათვალისწინებული იქნა საკრებულოს შენიშვნა, თბილისის არქეოლოგიური კვლევების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, რისთვისაც დამატებული იქნა 50,0 ათასი ლარი და ქართული ტრადიციული და თანამედროვე კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის 50,0 ათასი ლარი. გარდა ამისა 900,0 ათასი ლარი დაემატა კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების ქვეპროგრამას, ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის სარემონტო სამუშაოებისათვის.

❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 158,3 ათასი ლარით. 2016 წლის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში მცირდება 541,7 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი.

❖ ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 73 819,5 ათასი ლარით. 2016 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, შემცირებამ შეადგინა

13 674,8 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია საპრემიო ფონდისა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 2 065,7 ათასი ლარით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, იაპონური არასაპროექტო გრანტის მომსახურება 255,7 ათასი ლარი, მუნიციპალიური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 4 000,0 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) 650,0 ათასი ლარი.

ამასთან, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული რეგულაცია, რომლითაც მუნიციპალიტეტებს დაევალათ გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რათა 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები შეადგენდეს არაუმეტეს მიმდინარე წლის (მოსალოდნელი) საკასო შესრულების მაჩვენებელის 90%-ს. შესაბამისად, წარმოდგენილ პროექტში, აღნიშნული რეგულაცია შეეხო თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებს, ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების" და „საქონელი და მომსახურების" მუხლებს.

ჯამში, ბიუჯეტით შრომის ანაზღაურების და საქონელი და მომსახურების მუხლების შემცირებამ გასული წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შეადგინა 17,9 მლნ ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 9,2 მლნ ლარი, საქონელი და მომსახურება 8,7 მლნ ლარი.

მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში იცვლება საშტატო რიცხოვნობის ოდენობები, რომლის შედეგადაც ბიუჯეტით გათვალისწინებული საშტატო რიცხოვნობა მთლიანობაში მცირდება 49 ერთეულით და შეადგენს 5682 ერთეულს. საშტატო რიცხოვნობის შემცირება ნაწილობრივ გამოწვეულია ა(ა)იპ

კულტურული ღონისძიებების ცენტრის, ა(ა)იპ მეწარმეობის მხარდაჭერის ცენტრის და სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ლიკვიდაციით. ამასთან, 2017 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის და ა(ა)იპ გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტის ასიგნებები განსაზღვრულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, რამაც გამოიწვია მათი საშტატო რიცხოვნობის ბიუჯეტში ასახვა.

გარდა ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი 2 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 3 - ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.